

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის
კორპორაცია“

2018 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ დირექტორთა საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტში, სამართლიანად ასახავს „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

მნიშვნელოვანი აუდიტორული საკითხები

მნიშვნელოვანი აუდიტორული საკითხები მოიცავს საკითხებს, რომლებიც ჩვენი პროფესიონალური მსჯელობით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში. ეს საკითხები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და ჩვენი დასკვნის გაკეთების პროცესში თანმიმდევრობით არის გათვალისწინებული და ჩვენ არ გავცემთ ცალკე დასკვნას მათთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებების რეესტრის სიზუსტე	
გთხოვთ, გაეცნოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნას	
მნიშვნელოვანი აუდიტორული საკითხი	როგორ არის გათვალისწინებული საკითხი ჩვენს აუდიტში
„ჯგუფი“ ფლობს ძირითადი საშუალებების დიდი რაოდენობით მნიშვნელოვან ერთეულს, რომლებიც გავრცელებულია მთელს საქართველოში და ყოველთვის არ იმყოფება „ჯგუფის“ ფიზიკური კონტროლის ქვეშ, აქტივების ხასიათიდან და მათი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. „ჯგუფი“ აქტივების მნიშვნელოვან რაოდენობას იძენს განმეორებად საფუძველზე სხვადასხვა კაპიტალური პროექტისთვის. „ჯგუფს“ არ გააჩნია რეესტრის სიზუსტის შესამოწმებელი და რეესტრსა და ბუღალტრულ პროგრამას შორის მონაცემების შეჯერების ფორმალიზებული კონტროლის მექანიზმები. ძირითადი საშუალებების რეესტრი მოიცავდა შეცდომებს შესყიდვებთან, გაყიდვებთან და ცვეთასთან დაკავშირებით. ზემოთ თქმულიდან და ძირითადი საშუალებების ნაშთის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძირითადი საშუალებების ნაშთის სიზუსტე მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხს წარმოადგენს.	მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ გამოყენებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს: – „ჯგუფის“ კაპიტალიზაციის პოლიტიკის შეფასება ძირითად საშუალებებთან დაკავშირებულ ხარჯებთან მიმართებაში, ფასს-ების მოთხოვნების გათვალისწინებით; – წლის განმავლობაში კაპიტალიზებული ხარჯების შეფასება შერჩეული ნიმუშის საფუძველზე, კაპიტალიზებული ხარჯების შესაბამის ქვემდებარე დოკუმენტებთან შედარების გზით, რომლებიც მოიცავდა ნასყიდობის ხელშეკრულებებსა და ინვოისებს, ასევე შეფასება იმისა, აკმაყოფილებდა თუ არა კაპიტალიზებული ხარჯები კაპიტალიზაციის შესაბამის კრიტერიუმებს; – მიმდინარე მშენებლობების ძირითად საშუალებებზე გადაცემის თარიღის შემოწმება, შერჩეული ნიმუშის საფუძველზე ინსპექტირების ანგარიშების შემოწმების გზით; – ხელმძღვანელობის მიერ იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების შეფასება, რომლებიც არ არის დამონტაჟებული 24 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, „ჯგუფის“ ტექნიკური პერსონალისგან დამატებითი მტკიცებულების მიღების და საქმიანობის ჩვენეული ცოდნის გათვალისწინების გზით; – ხელმძღვანელობის მიერ სასარგებლო ეკონომიკური ვადის შეფასება საქმიანობის ჩვენეული ცოდნის და ნავთობის ტრანსპორტირების უფრო ფართო ინდუსტრიის მიღებული პრაქტიკების გზით; – ძირითადი საშუალებების რეესტრის ერთეულების საწყისი ბალანსის სიზუსტის შემოწმება მათი წინა პერიოდების ფინანსურ ჩანაწერებთან შედარების გზით; – ძირითადი საშუალებების ყიდვა-გაყიდვის შესახებ ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის შემოწმება, შესაბამისი ხელშეკრულებების, ქვემდებარე ინვოისებისა და ფულადი ანგარიშსწორებების შემოწმებით, ძირითადი საშუალებების რეესტრში მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და შესაბამის საცნობარო დოკუმენტებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გადახედვის გზით; – ძირითადი საშუალებების რეესტრიდან ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის ინფორმაციასთან შედარება.

მმართველობითი ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშგებაზე. ეს უკანასკნელი არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, და არც მასზე დართულ აუდიტორულ დასკვნას. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმით არ გაცემთ მასთან დაკავშირებულ რწმუნებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ხელმისაწვდომი გახდება და ამასთან დაკავშირებით იმის განსაზღვრას არსებითად შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას, ან სხვაგვარად არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული, მოიცავს თუ არა ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება თუ არა საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისაგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ჯგუფის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „ჯგუფის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისაგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ჯგუფის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეველუპირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ჯგუფი“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას „ჯგუფის“ შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ „ჯგუფის“ აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველობაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ასევე წარვუდგენთ ჩვენს მიერ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ ანგარიშს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და გავუზიარებთ მათ ინფორმაციას ყველა ურთიერთობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა ეხებოდეს ჩვენს დამოუკიდებლობას და, შესაბამის შემთხვევაში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზომებს.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაზიარებული საკითხებიდან გამომდინარე, ჩვენ განვსაზღვრავთ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების პროცესში და რომლებიც მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს განეკუთვნებიან. აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ აუდიტორთა დასკვნაში, თუ კანონი ან მარეგულირებელი პროცედურები არ გამოიწვევს ამგვარი საკითხების გახსნას ან, როდესაც, განსაკუთრებით იშვიათ ვითარებაში, ჩვენ განვსაზღვრავთ, რომ საკითხი არ უნდა იქნას წარმოდგენილი ჩვენს დასკვნაში, იმ მიზეზით, რომ ამგვარი ქცევის უარყოფითმა გავლენამ შესაძლოა გადაწონოს შესაბამისი კომუნიკაციის საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი



- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ჯგუფის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთი მოვლენებისა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ჯგუფი“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას „ჯგუფის“ შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ „ჯგუფის“ აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველობაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ასევე წარუდგენთ ჩვენს მიერ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ ანგარიშს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და გავუზიარებთ მათ ინფორმაციას ყველა ურთიერთობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა ეხებოდეს ჩვენს დამოუკიდებლობას და, შესაბამის შემთხვევაში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზომებს.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაზიარებული საკითხებიდან გამომდინარე, ჩვენ განვსაზღვრავთ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების პროცესში და რომლებიც მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს განეკუთვნებიან. აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ აუდიტორთა დასკვნაში, თუ კანონი ან მარეგულირებელი პროცედურები არ გამორიცხავენ ამგვარი საკითხების გახსნას ან, როდესაც, განსაკუთრებით იშვიათ ვითარებაში, ჩვენ განვსაზღვრავთ, რომ საკითხი არ უნდა იქნას წარმოდგენილი ჩვენს დასკვნაში, იმ მიზეზით, რომ ამგვარი ქცევის უარყოფითმა გავლენამ შესაძლოა გადაწონოს შესაბამისი კომუნიკაციის საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
8 ივლისი, 2019 წელი



სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	958,401	778,419
ავანსები გრძელვადიან აქტივებზე	14	62,681	59,535
არამატერიალური აქტივები		1,121	1,136
ფინანსური იჯარის მოთხოვნა	15	67,854	62,873
გაცემული სესხები	16	14,952	12,041
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	18,959	21,169
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	8	17,182	15,480
გრძელვადიანი აქტივები		1,141,150	950,653
მარაგები		17,826	12,412
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		2,171	-
ავანსები	14	50,301	50,791
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	127,380	147,026
შეზღუდული ნაღდი ფული	18	5,607	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18	348,595	498,960
მიმდინარე აქტივები		551,880	709,189
სულ აქტივები		1,693,030	1,659,842
კაპიტალი	19		
სააქციო კაპიტალი		626,595	624,916
დამატებითი გადახდილი კაპიტალი		71,718	71,718
სამართლიანი ღირებულების ნაშთი მესაკუთრეთა			
არაფულადი შენატანებისთვის		(282,181)	(282,181)
გაუნაწილებელი მოგება		484,734	428,994
კომპანიის მესაკუთრეებთან დაკავშირებული კაპიტალი		900,866	843,447
მონაწილეობის არა კონტროლირებული წილი	24	91,560	69,063
სულ კაპიტალი		992,426	912,510
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	21	658,134	637,381
გრძელვადიანი ვალდებულებები		658,134	637,381
სესხები და კრედიტები	21	13,486	78,519
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	26,919	29,254
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		-	113
ანარიცხები		2,065	2,065
მიმდინარე ვალდებულებები		42,470	109,951
სულ ვალდებულებები		700,604	747,332
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,693,030	1,659,842

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2018 წლის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	7	642,651	671,586
გაზის და ნავთობის ღირებულება		(367,473)	(392,649)
ცვეთა		(37,798)	(37,322)
პერსონალის ხარჯები		(20,076)	(17,703)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(10,920)	(9,650)
სხვა ხარჯები	9	(26,302)	(16,468)
სხვა შემოსავალი	10	2,042	8,028
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		182,124	205,822
ფინანსური შემოსავალი	11	42,391	68,432
ფინანსური ხარჯი	11	(64,505)	(53,889)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი		(22,114)	14,543
მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების მოგების წილი	8	1,335	2,100
მოგება მოგების გადასახადამდე		161,345	222,465
მოგების გადასახადის ხარჯი	12	-	(2,059)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		161,345	220,406
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეებს		138,848	191,529
არაკონტროლირებად წილებს		22,497	28,877
		161,345	220,406

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 8 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გივი ბახტაძე
გენერალური დირექტორი

ომარ ოგბაიძე
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2018 წლის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	7	642,651	671,586
გაზის და ნავთობის ღირებულება		(367,473)	(392,649)
ცვეთა		(37,798)	(37,322)
პერსონალის ხარჯები		(20,076)	(17,703)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(10,920)	(9,650)
სხვა ხარჯები	9	(26,302)	(16,468)
სხვა შემოსავალი	10	2,042	8,028
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		182,124	205,822
ფინანსური შემოსავალი	11	42,391	68,432
ფინანსური ხარჯი	11	(64,505)	(53,889)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი		(22,114)	14,543
მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების მოგების წილი	8	1,335	2,100
მოგება მოგების გადასახადამდე		161,345	222,465
მოგების გადასახადის ხარჯი	12	-	(2,059)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		161,345	220,406
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეებს		138,848	191,529
არაკონტროლირებად წილებს		22,497	28,877
		161,345	220,406

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 8 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

 გივი ბახტაძე
 გენერალური დირექტორი

 რომარ ოგბაიძე
 ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების.

*სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2018 წლის კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება*

	კომპანიის მესაკუთრეებისთვის განკუთვნილი კაპიტალი						
	სამართლიანი ღირებულების ნაშთი		მესაკუთრეთა არაფულადი შენატანებისთვის	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არაკონტროლირებადი ინტერესები	სულ კაპიტალი
'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	დამატებითი გადახდილი კაპიტალი					
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	617,093	71,718	(282,181)	264,778	671,408	40,186	711,594
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-	191,529	191,529	28,877	220,406
<i>ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან</i>							
<i>შენატანები და განაწილება</i>							
დივიდენდები (იხილეთ შენიშვნა 19(c))	-	-	-	(27,313)	(27,313)	-	(27,313)
მატება საწესდებო კაპიტალში (იხილეთ შენიშვნა 19 (a))	7,823	-	-	-	7,823	-	7,823
სულ შენატანები და განაწილება	7,823	-	-	(27,313)	(19,490)	-	(19,490)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	624,916	71,718	(282,181)	428,994	843,447	69,063	912,510
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	624,916	71,718	(282,181)	428,994	843,447	69,063	912,510
კორექტირება ფასს 9-ის პირველად გამოყენებაზე (იხილეთ შენიშვნა 5B (ii))	-	-	-	(5,966)	(5,966)	-	(5,966)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	624,916	71,718	(282,181)	423,028	837,481	69,063	906,544
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-	138,848	138,848	22,497	161,345
<i>ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან</i>							
<i>შენატანები და განაწილება</i>							
დივიდენდები (იხილეთ შენიშვნა 19(c))	-	-	-	(77,142)	(77,142)	-	(77,142)
მატება საწესდებო კაპიტალში (იხილეთ შენიშვნა 19 (a))	1,679	-	-	-	1,679	-	1,679
სულ შენატანები და განაწილება	1,679	-	-	(77,142)	(75,463)	-	(75,463)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	626,595	71,718	(282,181)	484,734	900,866	91,560	992,426

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2018 წლის კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები*		731,564	759,289
მიმწოდებლისა და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები*		(510,424)	(513,090)
შეზღუდული ნაღდი ფული		(5,607)	-
სახელმწიფოსგან დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნება	13	16,000	-
ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები მოგების გადასახადების და პროცენტის გადახდამდე		231,533	246,199
გადახდილი პროცენტი		(46,120)	(46,073)
მიღებული პროცენტი		32,892	31,774
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან		218,305	231,900
საინვესტიციო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შეძენა, გადახდილი ავანსების ჩათვლით		(221,268)	(82,889)
კლება ვადიან დეპოზიტში		-	69,129
გაცემული სესხის გადახდა		-	2,442
გაცემული სესხები		(1,219)	(10,883)
მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების შეძენა		(367)	(740)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		1,052	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(221,802)	(22,941)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან	21		
გადახდილი დივიდენდები		(77,142)	(27,313)
შემოსავალი სესხებიდან		-	69,914
სესხების დაფარვა		(68,358)	(130,227)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(145,500)	(87,626)
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(148,997)	121,333
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		498,960	391,609
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,368)	(13,982)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	18	348,595	498,960

*2018 წლის განმავლობაში მომხმარებლებისგან მიღებული და მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხები შეიცავს დღგ-ს მიღებულ და გადახდილ ბალანსებს 73,890 ათას ლარსა და 70,220 ლარს შესაბამისად (2017: 82,773 ათასი ლარი და 82,647 ათასი ლარი, შესაბამისად)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშვალდებული საწარმო	12	17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28
2. მომზადების საფუძველი	13	18. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ნაღდი ფულის ბალანსები	29
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	13	19. კაპიტალი	29
4. შეფასებების და მსჯელობების გამოყენება	13	20. კაპიტალის მართვა	30
5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	14	21. სესხები და კრედიტები	30
6. საოპერაციო სეგმენტი	17	22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32
7. შემოსავალი	18	23. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	32
8. ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	21	24. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები და არაკონტროლირებადი წილი	38
9. სხვა ხარჯები	22	25. კაპიტალური და სხვა ვალდებულებები	40
10. სხვა შემოსავალი	22	26. პირობითი ვალდებულებები	40
11. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი	23	27. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	42
12. მოგების გადასახადის ხარჯი	23	28. შეფასების საფუძველი	44
13. ძირითადი საშუალებები	25	29. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	44
14. ავანსად გადახდილი თანხები	26	30. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	58
15. ფინანსური იჯარის მოთხოვნა	27		
16. გაცემული სესხები	28		

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) მოიცავს სააქციო საზოგადოებებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. „კომპანია“ დაფუძნებულია, როგორც 100%-ით სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2006 წლის 21 მარტის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი სამი კომპანიის საფუძველზე: სს „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია“, სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ და სს „თელეთის ნავთობის კომპანია“.

„კომპანიის“ რეგისტრირებული მისამართია: კახეთის გზატკეცილი №21, თბილისი 0190, საქართველო. „კომპანია“ რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 4346/007.

„ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის იმპორტი, ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, გაზის მილსადენების იჯარა და ნავთობისა და გაზის ძიება-მოპოვება საქართველოში. გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის მშენებლობის დასრულების შემდეგ, 2015 წლის ივლისის თვეში, ელექტროენერგიის გამომუშავება დაემატა „ჯგუფის“ ძირითად საქმიანობებს. 2015 წლის 7 სექტემბერს გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან მიიღო ლიცენზია შეუზღუდავი პერიოდით და დაიწყო შემოსავლის გენერირება საქართველოში ელექტროენერგიის ბაზარზე დერეგულირებული ტარიფების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის ბრძანების №475 შესაბამისად, გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურს მიენიჭა გარანტირებული სიმძლავრის ოპერატორის სტატუსი 2040 წლის 1 ოქტომბრამდე.

2006 წლის დეკემბრის შემდეგ, როდესაც „კომპანიას“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფოს სახელით „ეროვნული ნავთობკომპანიის“ სტატუსი, „კომპანია“ იღებს და ყიდის საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის სახელმწიფო წილს, სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის გაფორმებული „პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების“ შესაბამისად.

2017 წლიდან „კომპანიამ“ დაიწყო გარდაბნის 2-ე კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2019 წლის მეოთხე კვარტალში.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფი“ არის მთლიანად სს საპარტნიორო ფონდის (100%-იანი მესაკუთრე საქართველოს მთავრობა) მფლობელობაში. ჯგუფის საბოლოო, მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა. ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან ოპერაციები განხილულია 27-ე შენიშვნაში.

(b) ბიზნეს გარემო

„ჯგუფის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „ჯგუფის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

ეს არის “ჯგუფის” პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც გამოყენებულ იქნა ფასს 15 *ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან* და ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები*. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც წარმოადგენს „კომპანიის“ საწარმოების სამუშაო ვალუტას. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში ნაჩვენები ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

4. შეფასებების და მსჯელობების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ებთან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკასთან მიმართებაში გამოყენებულ ყველაზე კრიტიკული მსჯელობების, დაშვებების და შეფასებების შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 7(d) - ამონაგების აღიარება ფასს 15-ის მიხედვით;
- შენიშვნა 15 - ფინანსური იჯარის მოთხოვნა - განსაზღვრება იმისა, მოიცავს თუ არა თავდაპირველი შეთანხმება ფინანსურ იჯარას და არაუზრუნველყოფილი ნარჩენი ღირებულების მიმდინარე ღირებულებას იჯარის ვადის ბოლოსთვის, ცვლილებები წმინდა ინვესტიციების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშების შეფასებებში;
- შენიშვნა 18 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები - ვადიანი დეპოზიტების კლასიფიცირება სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადიანობით, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით;
- შენიშვნა 24 - მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები - შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრა;
- შენიშვნა 25 - კაპიტალური და სხვა ვალდებულებები - გაზის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეფასება;

ინფორმაცია დაშვებების და შეფასებების შესახებ, რომლებსაც აქვთ მაღალი რისკი გამოიწვიონ მატერიალური კორექტირებები მომავალ ფინანსურ წელს, მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 23 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განსაზღვრა ფინანსური აქტივებისთვის;
- შენიშვნა 26 პირობითი ვალდებულებები.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია, აქტივისა და ვალდებულებებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ ეფუძნებიან დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები შეიძლება დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებად, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

„ჯგუფი“ აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიას შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც წარმოიშვება ცვლილება.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გაკეთებული დაშვებების შესახებ შესულია შენიშვნაში 23(a) - სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

„ჯგუფმა“ თავდაპირველად დანერგა ფასს 15 (იხილეთ (A)) და ფასს 9 (იხილეთ (B)) 2018 წლის 1 იანვრიდან. გარკვეული ახალი სტანდარტები აგრეთვე ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ მატერიალური ეფექტი არ აქვთ „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ზემოაღნიშნული სტანდარტების დანერგვისას, „ჯგუფის“ მიერ არჩეული გადასვლის მეთოდის გათვალისწინებით, შესადარისი ინფორმაცია ამ ფინანსური ანგარიშგებების ფარგლებში არ იყო გადახდილი ახალი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, გარდა ცალკეულად წარმოდგენილი სავაჭრო მოთხოვნების და მისაღები სესხების გაუფასურების ზარალისა (იხილეთ (B)).

აღნიშნული სტანდარტების პირველადი დანერგვის ეფექტი ძირითადად ეხება ფინანსურ აქტივებზე აღიარებულ, გაუფასურების ზარალის ზრდას (იხილეთ B(ii)).

A. ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს კომპლექსურ ჩარჩოს იმის დასადგენად რა შემთხვევაში, რა ოდენობით და როდის უნდა მოხდეს ამონაგების აღიარება. მან ჩაანაცვლა ბასს 18 *ამონაგები*, ბასს 11 *სამშენებლო კონტრაქტები* და მათთან დაკავშირებული ინტერპრეტაციები. ფასს 15-ის მიხედვით, ამონაგები აღიარდება, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრა - დროის გარკვეულ მომენტში თუ დროთა განმავლობაში - საჭიროებს შეფასებას.

„ჯგუფმა“ დანერგა ფასს 15 კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით (პრაქტიკული მაგალითების გარეშე), რომლის ეფექტი აღიარდა სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღისთვის (1 იანვარი 2018 წელი). შესაბამისად, 2017 წლის ინფორმაცია არ იყო განახლებული - ის წარმოდგენილია ისე, როგორც ახალი სტანდარტის დანერგვამდე, ბასს 18-ის და მასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციების მიხედვით. დამატებით, ფასს 15-ის მოთხოვნები განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებით, ზოგადად არ იყო გამოყენებული შესადარის ინფორმაციასთან მიმართებით.

ფასს 15-ს არ ჰქონია მატერიალური გავლენა „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკებზე „ჯგუფის“ შემოსავლის წყაროებთან მიმართებით - ბუნებრივი გაზის რეალიზაცია, შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან, შემოსავალი მილსადენების იჯარიდან, შემოსავალი ნავთობის ტრანსპორტირებიდან და შემოსავალი ნედლი ნავთობის რეალიზაციიდან (იხილეთ მე-7 შენიშვნა), შესაბამისად ფასს 15-ზე გადასვლას არ ჰქონდა ეფექტი გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფასს 15-ზე გადასვლისას არ მომხდარა სახელშეკრულებო უფლებების/ვალდებულებების აღიარება.

B. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ადგენს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და ზოგიერთი არაფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტების აღიარებასა და შეფასებაზე. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39 *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება-ს*.

ფასს 9-ის დანერგვის შედეგად, „ჯგუფმა“ დანერგა ბასს 1 *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა-ის* შედეგობრივი ცვლილებები, რომლებიც მოითხოვს, რომ ფინანსური აქტივების გაუფასურება წარმოდგენილი იყოს ცალკე ერთეულად მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ადრე, „ჯგუფი“ სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალს აღიარებდა სხვა ხარჯებში ან ფინანსურ ხარჯებში. შედეგად, ჯგუფმა გადაიტანა გაუფასურების ზარალი აღიარებული ბასს 39-ის მიხედვით, „სხვა ხარჯებიდან“ „სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალზე“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია „ფინანსური დანახარჯების“ მუხლში, ისევე როგორც ისინი წარმოდგენილი იყო ბასს 39-ის მიხედვით, და არ არის წარმოდგენილი ცალკე კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, მატერიალურობის გათვალისწინებით.

ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების შედეგად, ეფექტმა გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 5,966 ათასი ლარი (აღნიშნული თანხით შემცირდა გაუნაწილებელი მოგება).

(i) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამ ძირითად კატეგორიად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით და რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით ძირითადად ეფუძნება

ბიზნესს მოდელს, რომლის ფარგლებში იმართება ფინანსური აქტივი და მისი ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფასს 9 აუქმებს ბასს 39-ის კატეგორიებს ვადის გასვლამდე: სესხები და მოთხოვნები და სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები. ფასს 9-ის მიხედვით, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის, რომელიც კონტრაქტის მიხედვით არის ფინანსური აქტივის შემადგენელი ნაწილი, განცალკევება ძირითადი აქტივისგან არასდროს არ ხდება. ნაცვლად ამისა, ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი, როგორც ერთი მთლიანი აქტივი ფასდება კლასიფიკაციის მიზნებისთვის.

ფასს 9 უმეტესწილად ინარჩუნებს ბასს 39-ში მითითებულ, ფინანსური ვალდებულებების შეფასებისა და კლასიფიკაციის მოთხოვნებს.

ფასს 9-ის გამოყენებამ არ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებზე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „დამდგარი ზარალის“ მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ეხება ფინანსურ აქტივებს რომელიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, სახელშეკრულებო აქტივებს და სავალო ინვესტიციებს, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მაგრამ არ ვრცელდება ინვესტიციებზე კაპიტალურ ინსტრუმენტებში. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალები აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის მიხედვით - იხილეთ შენიშვნა 29 (k).

იმ აქტივებისთვის, რომლებიც ექცევა ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის ქვეშ, მოსალოდნელია გაუფასურების ზარალის ზრდა და ცვალებადობა. ჯგუფმა განსაზღვრა, რომ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების დანერგვის შემდეგ 2018 წლის 1 იანვრისთვის დამატებით გაიზარდება გაუფასურების ზარალი.

’000 ლარი

დანაკარგების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბასს 39-ის მიხედვით

2,102

დამატებითი ზარალი აღიარებული 2018 წლის 1 იანვრისთვის:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

5,944

მისაღები სესხები ამორტიზებული ღირებულებით

22

დანაკარგების რეზერვი 2018 წლის 1 იანვრისთვის ფასს 9-ის მიხედვით

8,068

დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის მიერ გაუფასურების ზარალის გაანგარიშებასთან დაკავშირებით მოცემულია 29-ე შენიშვნაში.

(iii) გადასვლა

ჯგუფმა გამოიყენა კლასიფიკაციის და შეფასების (გაუფასურების ჩათვლით) მოთხოვნების გამოწვევის, წინა წლების შესადარისი ინფორმაციის არ განახლების თაობაზე. სხვაობა ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში, რომელიც გამოწვეულია ფასს 9-ის დანერგვით აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაში და რეზერვებში 2018 წლის 1 იანვრისთვის. შესაბამისად, წარმოდგენილი 2017 წლის ინფორმაცია ასახავს არა ფასს 9-ის, არამედ ბასს 39-ის მოთხოვნებს.

6. საოპერაციო სეგმენტი

„ჯგუფს“ აქვს ხუთი ანგარიშვალდებული სეგმენტი (2017 წელს: ხუთი), როგორც ქვემოთ არის აღწერილი, რომლებიც „ჯგუფის“ სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულებს წარმოადგენს. სტრატეგიული ბიზნეს ერთეულები სხვადასხვა პროდუქტებს და მომსახურებებს სთავაზობს და ისინი ცალკე იმართება. თითოეული სტრატეგიული ბიზნეს ერთეულისთვის, „კომპანიის“ გენერალური დირექტორი გადახედავს შიდა მართვის ანგარიშებს სულ მცირე კვარტალში ერთხელ. ქვემოთ მოცემულ მიმოხილვაში აღწერილია „ჯგუფის“ თითოეული ანგარიშვალდებული სეგმენტის მიერ განხორციელებული ოპერაციები:

- *გაზის მიწოდება*: მოიცავს ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვას.
- *ელექტროენერგიის გამომუშავება და მიწოდება*: მოიცავს ელექტროენერგიის გაყიდვისა და გარანტირებული სიმძლავრის ღირებულებას.
- *მილსადენის იჯარა*: მოიცავს „ჯგუფის“ მიერ დაკავშირებული მხარისთვის (შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“) გაზის მილსადენების იჯარიდან მიღებულ საიჯარო შემოსავალს (იხილეთ შენიშვნა 27).
- *ნავთობის ტრანსპორტირება*: მოიცავს შემოსავალს ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებიდან.
- *ძიება-მოპოვების საქმიანობა*: მოიცავს ნავთობის გაყიდვას პროდუქციის განაწილების გარიგებებიდან.

ინფორმაცია თითოეული ანგარიშვალდებული სეგმენტის შედეგების შესახებ მოცემულია ქვემოთ. შედეგები ფასდება ცვეთის დარიცხვამდე, პერსონალის ხარჯების, წმინდა ფინანსური ხარჯების, სხვა შემოსავალი/ხარჯის და მოგებისა და სხვა გადასახადების გადახდამდე სეგმენტის მოგების საფუძველზე, ხელმძღვანელობის თავდაპირველი ანგარიშების საფუძველზე, რომელსაც გადახედავს „კომპანიის“ გენერალური დირექტორი. ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი ინფორმაცია ყველაზე მეტად შესაბამისია კონკრეტული სექტორის შედეგების შესაფასებლად, რომლებიც უკავშირდება ამ ინდუსტრიებში მოქმედ სხვა საწარმოებს. „კომპანიის“ გენერალური დირექტორი არ ახდენს სეგმენტის აქტივებისა და ვალდებულებების მონიტორინგს.

(i) ინფორმაცია ანგარიშვალდებული სეგმენტების შესახებ:

	გაზის		ელექტროენერგიის		მილსადენის		ნავთობის		ძიება-მოპოვების		სულ	
	მიწოდება	მიწოდება	წარმოება და მიწოდება	მიწოდება	იჯარა	იჯარა	ტრანსპორტირება	ტრანსპორტირება	საქმიანობები	საქმიანობები	2018	2017
'000 ლარი	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017
შემოსავალი	361,655	379,560	209,090	199,711	42,053	59,847	18,367	18,315	11,486	14,153	642,651	671,586
გაზის და ნავთობის ღირებულება	(274,427)	(304,576)	(93,046)	(88,073)	-	-	-	-	-	-	(367,473)	(392,649)
ანგარიშვალდებული სეგმენტის მოგება გაუნაწილებელი ხარჯების და მოგების გადასახადის გადახდამდე	87,228	74,984	116,044	111,638	42,053	59,847	18,367	18,315	11,486	14,153	275,178	278,937

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლისათვის

'000 ლარი	2018	2017
შემოსავალი		
მთლიანი შემოსავალი ანგარიშვალდებული სეგმენტებისთვის	642,651	671,586
მოგება ან ზარალი		
ანგარიშვალდებული სეგმენტების მოგება	275,178	278,937
გაუნაწილებელი თანხები:		
ცვეთა	(37,798)	(37,322)
პერსონალის ხარჯი	(20,076)	(17,703)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(22,114)	14,543
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(10,920)	(9,650)
სხვა ხარჯები	(26,302)	(16,468)
სხვა შემოსავალი	2,042	8,028
მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციები შემოსავლის/(ზარალის) წილი	1,335	2,100
კონსოლიდირებული მოგება, მოგების გადასახადის გადახდამდე	161,345	222,465

(ii) გეოგრაფიული ინფორმაცია

„ჯგუფის“ შემოსავლების უმრავლესობა საქართველოში გენერირდება, ხოლო გრძელვადიანი აქტივები საქართველოშია განთავსებული.

(iii) მთავარი მომხმარებელი

2018 წელს გაზის მიწოდების სეგმენტში ერთ მომხმარებელზე განხორციელებულმა გაყიდვებმა შეადგინა 340,681 ათასი ლარი, რაც „ჯგუფის“ მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 53%-ს შეადგენს (2017 წელს: 376,671 ათასი ლარი, 56%).

2018 წელს ელექტროენერგიის წარმოებისა და მიწოდების სეგმენტში ერთ მომხმარებელზე განხორციელებულმა გაყიდვებმა შეადგინა 115,880 ათასი ლარი, რომელიც „ჯგუფის“ მთლიანი შემოსავლის 18%-ს შეადგენს (2017 წელს: 109,125 ათასი ლარი, 16%).

7. შემოსავალი

ფასს 15-ის პირველადი დანერგვის ეფექტი ჯგუფის ამონაგებზე მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

(a) შემოსავლის წყაროები

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის ბუნებრივი გაზის იმპორტი, ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, მილსადენების იჯარა და ნავთობის და გაზის ძებნა და მოპოვება საქართველოს ტერიტორიაზე.

'000 ლარი	2018	2017
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:		
ბუნებრივი გაზის გაყიდვა	361,655	379,560
ამონაგები ელ.ენერგიის წარმოებიდან და გაყიდვიდან	209,090	199,711
ამონაგები ნედლი ნავთობის გაყიდვიდან	11,486	14,153
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:	582,231	593,424
სხვა შემოსავალი		
შემოსავალი მილსადენების იჯარიდან	42,053	59,847
შემოსავალი ნავთობის ტრანზიტისა და ფინანსური ლიზინგის ფარგლებში (შენიშვნა 15)	18,367	18,315
სულ სხვა შემოსავალი	60,420	78,162
სულ ამონაგები	642,651	671,586

შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან მოიცავს შემოსავალს გარანტირებული სიმძლავრის ღირებულებიდან 115,768 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს: 103,166 ათასი ლარი) და ელექტროენერგიის წარმოებიდან მიღებულ შემოსავალს 93,322 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს: 96,545 ათასი ლარი).

ნავთობის ტრანსპორტირების ღირებულების მიღება ხდება ბაქო-სუფსის მილსადენის გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთში ნავთობის ტრანსპორტირებიდან.

„კომპანია“ მილსადენებს და დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას იჯარით გასცემს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ (GGTC). საიჯარო ხელშეკრულება არ ექვემდებარება გაუქმებას და ის ძალაშია 2020 წლის 1 იანვრამდე. 2011 წლის სექტემბრიდან 2017 წლის 1 სექტემბრამდე საიჯარო გადახდები ანგარიშდებოდა იჯარით აღებული მილსადენით ტრანსპორტირებული გაზის მოცულობის საფუძველზე ღირებულებით 1,000 კუბური მეტრი/6,80 აშშ დოლარი. 2017 წლის 1 სექტემბრიდან ფიქსირებულია საიჯარო ღირებულება თვეში შეადგენს 3,500 ათას ლარს. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ პასუხს აგებს გაზის ძირითადი მილსადენი სისტემის რემონტზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, ოპერირებასა და უსაფრთხოებაზე. „კომპანია“ პასუხს აგებს მხოლოდ კაპიტალურ ხარჯებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 27-ე შენიშვნაში.

(b) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების ჩაშლა

მოცემულ ცხრილში ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩაშლილია პირველადი გეოგრაფიული ბაზრის და ამონაგების აღიარების მომენტის მიხედვით. ცხრილი აგრეთვე შეიცავს ჩაშლილი ამონაგების შედარებას „ჯგუფის“ საანგარიშგებო სეგმენტებთან (იხილეთ მე-6 შენიშვნა).

	ელ.ენერგიის წარმოება და მიწოდება		მიება-მოპოვების საქმიანობები		სულ	
	2018	2017	2018	2017	2018	2017
'000 ლარი						
პირველადი						
გეოგრაფიული ბაზარი:						
საქართველო	361,655	379,560	209,090	199,711	11,486	14,153
სხვა	-	-	-	-	-	-
	<u>361,655</u>	<u>379,560</u>	<u>209,090</u>	<u>199,711</u>	<u>11,486</u>	<u>14,153</u>
	<u>582,232</u>	<u>593,424</u>				

(c) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მოთხოვნების შესახებ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები, რომლებიც შეტანილია „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში“	17	117,087	136,538

(d) შესასრულებელი ვალდებულებები და ამონაგების აღიარების პოლიტიკები

ამონაგების შეფასება ხდება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ანაზღაურებაზე დაყრდნობით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი შეიცავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, შესასრულებელი ვალდებულებების ბუნებისა და ამ ვალდებულებების დაკმაყოფილების პერიოდის შესახებ, გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლების აღიარების პოლიტიკების ჩათვლით.

საქონლის/ მომსახურების ტიპი	შესასრულებელი ვალდებულების ბუნება და ამ ვალდებულების დაკმაყოფილების პერიოდი, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	ამონაგების აღიარება ფასს 15-ის მიხედვით (მოქმედი 2018 წლის 1-ლი იანვრიდან)	ამონაგების აღიარება ბასს 18-ის მიხედვით (მოქმედი 2018 წლის 1-ლ იანვრამდე)
გაზის მიწოდება	მომხმარებლები მოიპოვებენ კონტროლს გაზზე, როდესაც ხდება მისი მიწოდება მილსადენების მეშვეობით მომხმარებელამდე. ინვოისები გამოიწერება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. სახელშეკრულებო პირობების მიხედვით ვალდებულების დაფარვა ნაწილობრივ ხდება ავანსად (არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვამდე) და დარჩენილი თანხის დაფარვა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლომდე. ხელშეკრულების მიხედვით საურავების დარიცხვა, დაგვიანებით გადახდისთვის, ხდება გადაუხდელობის დაწესებული გადახდის დღის მომდევნო დღიდან.	ამონაგები აღიარდება, როდესაც ხდება გაზის მიწოდება ე.წ. მიწოდების წერტილებში (აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი წერტილები, რომლებიც განსაზღვრულია „გაზის მიწოდების ხელშეკრულებით“), შესაბამისად შესრულების ვალდებულება გაზის მიწოდებაზე დაკმაყოფილებულია. ოპერაციის ფასი შეიცავს გაზის საფასურს და საურავებს, დაგვიანებით გადახდისთვის (ცვალებადი ანაზღაურება) და არ შეიცავს შეზღუდულ, ცვალებადი ანაზღაურების შეფასებებს, რომელიც ეხება ამ შესასრულებელ ვალდებულებას.	ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გაზი მილსადენების გავლით მიეწოდებოდა მომხმარებლებს და გამოიყენებოდა ამ უკანასკნელის მიერ, რაც წარმოადგენდა დროის იმ წერტილს, რომელშიც მომხმარებელი იღებდა საქონელს და მასთან დაკავშირებულ საკუთრების რისკებსა და ჯილდოებს, იმ დაშვებით, რომ შესაძლებელი იყო მიღებული სარგებლის გონივრული შეფასება.
ძიება/ მოპოვების ოპერაციები/ ამონაგები ნედლი ნავთობის გაყიდვიდან	შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება, როდესაც ჯგუფი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის ნედლი ნავთობს ჯგუფის საწყობში (EXW – Incoterms). ინვოისი გამოიწერება ნავთობის გაყიდვისას და ინდივიდუალურ მომხმარებელთან ხელშეკრულებით შეთანხმებულია გადახდა.	ამონაგები ნედლი ნავთობის გაყიდვიდან აღიარდება როდესაც ნავთობი გადის კომპანიის საწყობიდან და გადაეცემა მომხმარებელს.	ამონაგები ნედლი ნავთობის გაყიდვიდან აღიარდებოდა როდესაც ნავთობთან დაკავშირებული საკუთრების უფლება, უფლებები და ვალდებულებები გადადიოდა ჯგუფიდან მომხმარებელზე.
ელექტრო- ენერგიის წარმოება და მიწოდება	შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება და მოიხმარება საბითუმო მომხმარებლების მიერ. ინვოისი გამოიწერება ყოველთვიურად. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლომდე.	ამონაგები აღიარდება ყოველთვიურად საბითუმო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით. მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხდება მრიცხველებით. გარანტირებული სიმძლავრის საფასური განისაზღვრება რეგულირებადი აქტივების ღირებულების საფუძველზე (Valuation of the Regulatory Asset Base) და არის დღიური ფიქსირებული გადასახადი 300 დღეზე დაანგარიშებით.	ამონაგები აღიარდებოდა ყოველთვიურად საბითუმო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით.

8. ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

'000 ლარი	2018	2017
წილი მეკავშირე კომპანიებში		
ქართლის ქარის ელექტროსადგური - 49.99%	15,635	14,300
ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური - 40%	367	-
სხვა ინვესტიციები	1,180	1,180
სულ	17,182	15,480

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურმა“ ააშენა პირველი ქარის ელექტრო სადგური საქართველოში, სიმძლავრით 20.7 მგვტ. სადგურის მშენებლობა 2016 წლის სექტემბერში დასრულდა, ხოლო ექსპლოატაციაში 2016 წლის ნოემბრიდან შევიდა.

'000 ლარი	2018	2017
წილობრივი მონაწილეობის პროცენტი	49.99%	49.99%
გრძელვადიანი აქტივები	62,712	66,212
მიმდინარე აქტივები	20,316	17,796
გრძელვადიანი ვალდებულებები	(45,411)	(48,478)
მიმდინარე ვალდებულებები	(7,006)	(7,589)
წმინდა აქტივები (100%)	30,611	27,941
„ჯგუფის“ წმინდა აქტივების წილი	15,302	13,968
შემოსავალი	14,744	14,106
მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული		
შემოსავალი/(ზარალი) (100%)	2,670	4,200
„ჯგუფის“ მოგება/(ზარალის) და მთლიანი სრული	1,335	2,100
შემოსავლის/(ზარალის) წილი		

წლის განმავლობაში მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების მოძრაობა:

'000 ლარი	2018	2017
ნაშთი 1 იანვარს	15,480	12,640
განხორციელებული შენატანები	367	740
„ჯგუფის“ მოგების/(ზარალის) წილი, მოგების გადასახადის გამოკლებით	1,335	2,100
ნაშთი 31 დეკემბერს	17,182	15,480

2018 წლის 11 ივნისს ჯგუფის, შპს ენგურჰესის და სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის წილობრივი მონაწილეობით (40%, 40% და 20% შესაბამისად) დაფუძნდა შპს ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური (შემდგომში - ეპე). ეპე დაფუძნდა ჰიდრომაკუმულირებელი სადგურის პროექტის მიზანშეწონილობის შესწავლისთვის და დადებითი შედეგების შემთხვევაში ეპე-მ უნდა განახორციელოს აღნიშნული პროექტი. წესდების მიხედვით, პირველადი შენატანი ეპე-ს საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა 1,500 ათასი აშშ დოლარით, რომელიც უნდა იქნას გადახდილი დამფუძნებლების მიერ მათი წილობრივი მონაწილეობის მიხედვით. 2018 წლის განმავლობაში ჯგუფმა განახორციელა 367 ათასი ლარის ინვესტიცია ეპე-ს საწესდებო კაპიტალში.

ამასთან, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ფლობს წილს კომპანიებში - შპს „საერთაშორისო მილსადენის კომპანია „სარმატია“ და შპს „AGRI LNG Project Company“, რომელთაგან ორივე მნიშვნელოვანი გავლენის საგანს წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის ბრძანების №775 საფუძველზე, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროექტების „თეთრი ნაკადი“ და „ტრანსკასპიური გაზის მილსადენი“ განხორციელებაში. პარტნიორთა

ყოველწლიური კრების საფუძველზე, რომელიც 2017 წლის 9 ივლისს გაიმართა, „სარმატია“-ს პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება შპს „სარმატია“-ს საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ. ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მეკავშირე კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების შეძენაში გადახდილმა ფულადმა სახსრებმა 740 ათასი ლარი შეადგინა.

„ჯგუფის“ არცერთი ინვესტიცია მეკავშირე კომპანიაში არ წარმოადგენს საჯარო საწარმოს და, შესაბამისად, ისინი არ აქვეყნებენ აქციების ფასების კოტირებას.

9. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2018	2017
ტრანსპორტირება, მასალა, რემონტი და ტექნიკური უზრუნველყოფა	7,824	6,434
იურიდიული ხარჯები*	6,747	1,737
რეგულირების ხარჯები	2,034	2,091
აქტივების რეალიზაცია და ჩამოწერა	2,235	97
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები	777	650
თანამშრომლების ბენეფიტები	601	597
საოფისე ხარჯები	590	1,231
კონვერტაციის ხარჯი	370	-
პროფესიონალური მომსახურებები *	288	227
სხვა	4,836	3,404
	26,302	16,468

* იურიდიული მომსახურების ხარჯები დაკავშირებულია იურიდიულ მომსახურებასთან, რომელიც კომპანიაში მიიღო Hogan Lovells International LLP-სგან კომპანიასა და ამ უკანასკნელს შორის 2017 წლის 6 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ეხება ფრონტერა რისორზ ჯორჯიან კორპორეიშენი-ს მიერ წამოწყებულ დავას (შენიშვნა 26 (b)).

ზემოთ განსაზღვრული პროფესიონალური მომსახურების ხარჯები მოიცავს აუდიტორული და პროფესიონალური მომსახურებებისთვის გადახდილ თანხებს.

10. სხვა შემოსავალი

'000 ლარი	2018	2017
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	706	-
საიჯარო შემოსავალი	368	567
ნავთობის დამუშავება	323	229
ინვენტარიზაციის პროცესში აღმოჩენილი ზედმეტობა	223	1,747
საურავები დაგვიანებით გადახდისთვის	119	277
გაუფასურების ზარალის და სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	-	1,340
შემოსავალი კონვერტაციიდან	-	1,064
ზიანის ანაზღაურება	-	786
სხვა	303	2018
	2,042	8,028

11. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

'000 ლარი	2018	2017
მოგება-ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო		
განაკვეთის გამოყენებით ამორტიზებულ ღირებულებაზე	34,630	36,948
ფინანსური საიჯარო მოთხოვნის დისკონტირების		
დაბრუნება (შენიშვნა 15)	4,981	3,836
ურთიერთდაკავშირებული მხარის რესტრუქტურული		
მოთხოვნის დისკონტირების დაბრუნება (შენიშვნა 17)	2,780	-
კლიენტების მიერ თანხის დაგვიანებით დაფარვის გამო		
დარიცხული ჯარიმის პროცენტი	-	20,851
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული		
წმინდა მოგება	-	6,797
ფინანსური შემოსავალი	42,391	68,432
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(42,634)	(48,695)
ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტით გამოწვეული		
ზარალი (იხილეთ შენიშვნა 17)	-	(5,194)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული		
ზარალი	(21,871)	-
ფინანსური ხარჯები	(64,505)	(53,889)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური		
შემოსავალი (ხარჯი)	(22,114)	14,543

12. მოგების გადასახადის ხარჯი

(a) მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

„ჯგუფის“ მოქმედ საგადასახადო განაკვეთს წარმოადგენს მოგების გადასახადის განაკვეთი 17.64%-ის ოდენობით (2017 წელს 17.64%), რომელიც ქართული კომპანიებისთვის არის განსაზღვრული.

'000 ლარი	2018	2017
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი		
მიმდინარე წელი	-	391
წინა წლების კორექტირება	-	1,668
	-	2,059

(b) ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შედარება:

	2018		2017	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
გამოცხადებული დივიდენდები / მოგება				
დაბეგვრამდე	77,142*	-	27,313	100
მოგების გადასახადის ხარჯი მოქმედი				
საგადასახადო განაკვეთით	-		4,820	17.65
დივიდენდებზე გადასახდელი საგადასახადო				
ვალდებულების გაქვითვა *	-		(4,429)	(16)
წინა წლების კორექტირება	-		1,668	6
	-		2,059	8

* 2018 წლის 17 ივლისს „ჯგუფის“ მშობელმა კომპანიამ (სს საპარტნიორო ფონდი) მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის 2017 წლის კონსოლიდირებული მოგების 35%-ის, დივიდენდების სახით განაწილების შესახებ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მოგების განაწილებაზე (იმ დივიდენდების გარდა, რომელიც ეკუთვნის 2008-2016 წლებში გამომუშავებულ წმინდა მოგებას) ქართულ სამეწარმეო სუბიექტებს შორის (გარდა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული საწარმოსი), რომლებსაც აქვთ იურიდიული საწარმოს სტატუსი საქართველოში. იმის გათვალისწინებით, რომ განაწილებული დივიდენდები ეკუთვნოდა 2017 წლის გაუნაწილებელ მოგებას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, აღნიშნული არ ითვლება მოგების განაწილებად და შესაბამისად მოგების გადასახადით არ იბეგრება.

** საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ქართულ მეწარმე სუბიექტებს შორის 2008-2016 წლებში გამომუშავებული გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით განაწილება ითვლება შემოსავლების განაწილებად, 2008-2016 წლების კუთვნილი, გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის უფლებით. თუმცა, ამ დივიდენდების შემდგომი განაწილება არ ითვლება შემოსავლების განაწილებად და არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2017 წელს გამოცხადებულ დივიდენდებთან მიმართებით კომპანიამ მოახდინა დივიდენდებზე გადასახდელი თანხის გაქვითვა მოგების გადასახადთან, რომელიც გადახდილი იყო 2008-2016 წლებში გამომუშავებულ გაუნაწილებელ მოგებაზე.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამური გადასახადი, რომელიც შეიძლება გაიქვითოს მოგების გადასახადთან, რომელიც ეხება 2008-2016 წლებში გამომუშავებული გაუნაწილებელი მოგების დივიდენდების სახით განაწილებას, შეადგენს 47,962 ათასს ლარს.

13. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	გაზის და ნავთობის მილსადენები	მიწა და შენობა- ნაგებობები	ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეული	ნავთობის ჭაბურღილები	მანქანა დანადგარები	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	391,649	43,680	380,664	35,404	19,010	9,758	103,797	983,962
შესყიდვები	8,380	865	-	-	457	848	31,229	41,779
გადაცემები	13,054	(352)	525	-	384	249	(13,860)	-
გაყიდვები	(683)	(118)	-	-	(73)	(11)	(695)	(1,580)
რეკლასიფიკაცია	(603)	-	-	-	-	-	603	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	411,797	44,075	381,189	35,404	19,778	10,844	121,074	1,024,161
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	411,797	44,075	381,189	35,404	19,778	10,844	121,074	1,024,161
შესყიდვები	95	1,572	-	-	482	2,137	209,101	213,387
გადაცემები	15,374	729	214	-	(275)	19	(16,061)	-
კაპიტალიზირებული სესხის ხარჯი	-	-	-	-	-	-	7,050	7,050
გაყიდვები	(694)	(1,907)	-	-	(64)	(309)	(1,229)	(4,203)
რეკლასიფიკაცია	4,725	-	-	-	-	-	(4,725)	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	431,297	44,469	381,403	35,404	19,921	12,691	315,210	1,240,395
ცვეთა და გაუფასურების ზარალი								
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	135,964	6,496	22,106	24,223	9,109	4,283	6,270	208,451
ცვეთა წლის განმავლობაში	17,674	776	15,291	1,207	1,805	1,115	-	37,868
გაყიდვები	(529)	(26)	-	-	(11)	(11)	-	(577)
დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე გადატანა	6	-	-	-	-	-	(6)	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	153,115	7,246	37,397	25,430	10,903	5,387	6,264	245,742
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	153,114	7,246	37,397	25,430	10,903	5,387	6,265	245,742
ცვეთა წლის განმავლობაში	18,210	804	15,319	966	1,344	1,155	-	37,798
გაყიდვები	(398)	(805)	-	-	(62)	(281)	-	(1,546)
რეკლასიფიკაცია	3,703	-	-	-	-	-	(3,703)	-
გადაცემები	(478)	-	-	-	-	-	478	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	174,151	7,245	52,716	26,396	12,185	6,261	3,040	281,994
საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბერს	258,682	36,829	343,792	9,974	8,875	5,457	114,810	778,419
2018 წლის 31 დეკემბერს	257,146	37,224	328,687	9,008	7,736	6,430	312,170	958,401

დაუმონტაჟებელი მოწყობილობა წარმოადგენს 92,876 ათას ლარს (2017 წელს: 61,635 ათასი ლარი) 312,170 ათასი ლარის ნაშთიდან (2017 წელს: 114,810 ათასი ლარი). დაუმონტაჟებელი მოწყობილობა მოიცავს გაზის მილსადენებს და ტურბინებს, რომელთა გამოყენებაც ჯერ არ დაწყებულა. იმის გამო, რომ საქართველოს ბაზარი არ არის განვითარებული, თითქმის შეუძლებელია თერმული თბოელექტროსადგურების ნაწილების სასწრაფო წესით შეძენა, გადაუდებელ სიტუაციებში, შესაბამისად „კომპანიას“ უწევს დამატებითი მარაგის უზრუნველყოფა.

დაუმთავრებელი მშენებლობა უმეტესწილად დაკავშირებულია მილსადენების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებთან. დაუმთავრებელი მშენებლობაზე დამატებული 209,101 ათასი ლარიდან 154,608 ათასი ლარი ეკუთვნის გარდაბნის მეორე კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობას. მშენებლობის დასრულება იგეგმება 2019 წლის მეოთხე კვარტალში.

2018 წლის განმავლობაში ჯგუფმა დაიბრუნა გადახდილი დღგ-ს თანხა 16,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ჩათვლილი იყო გარდაბნის მეორე კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობის ფარგლებში.

კაპიტალიზირებულმა სესხის ხარჯებმა, რომელიც დაკავშირებულია გარდაბნის მეორე კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან, შეადგინა 7,050 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალიზაციის განაკვეთმა - 6.75%.

2018 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა 457 ათასი ლარის შენობა-ნაგებობის, 927 ათასი ლარის ღირებულების მიწის, 263 ათასი ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარების და 32 ათასი ლარის სხვა ძირითადი საშუალებების კონტრიბუცია (2017 წელს: გაზის მილსადენი - 7,421 ათასი ლარი, მიწის ნაკვეთები - 313 ათასი ლარი, სხვა ძირითადი საშუალებები - 89 ათასი ლარი) საწესდებო კაპიტალის ზრდის ფორმით. მენეჯმენტის შეფასებით, ამ აქტივების ნომინალური ღირებულება კონტრიბუციის დღისათვის მათ სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

14. ავანსად გადახდილი თანხები

'000 ლარი	2018	2017
გრძელვადიანი აქტივები		
ავანსად გადახდილი თანხები	62,681	59,535
მიმდინარე აქტივები		
ავანსად გადახდილი თანხები	50,301	50,791
სულ	112,982	110,326

2016 წლის 28 სექტემბერს შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს და „China Tianchen Engineering Corporation“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის დაპროექტების, ნასყიდობისა და მშენებლობის შესახებ. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „China Tianchen Engineering Corporation“-სთვის ავანსად გადახდილმა თანხამ შეადგინა 57,328 ათასი ლარი (2017 წელი: 59,535 ათასი ლარი). მშენებლობის დასრულება იგეგმება 2019 წლის მეოთხე კვარტალში.

მოკლევადიანი გადახდები ძირითადად ხორციელდება გაზის მიწოდების მიზნით კომპანია „South Caucasus Pipeline Option Gas Company Limited“-ის (33,860 ათასი ლარის ოდენობით, 2017 წელს: 31,136 ათასი ლარი) და კომპანია „Azerbaijan Gas Supply Company Limited“-ის (AGSC) (12,026 ათასი ლარი, 2017 წელს 11,636 ათასი ლარი) სასარგებლოდ.

15. ფინანსური იჯარის მოთხოვნა

1996 წელს საქართველოს მთავრობა შევიდა 30-წლიან გარიგებაში ნავთობის კომპანიების კონსორციუმთან, რომელმაც იკისრა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სუფსის ნავთობტერმინალამდე ნავთობის მილსადენის სისტემის მშენებლობის და განვითარების პასუხისმგებლობა. გარიგების საფუძველზე ნავთობის კომპანიებს მიენიჭა მითითებული მილსადენის სისტემით ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების უფლება. მილსადენი საქართველოს სახელმწიფო ქონება გახდა. ამ მილსადენის საკუთრების უფლება გადაეცა „კომპანიას“ 2010 წლის ივნის-ივლისში „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანის სახით, ნომინალური ღირებულებით 269,299 ათასი ლარის ოდენობით. მილსადენით მოსარგებლე ნავთობკომპანიებისგან „ჯგუფი“ იღებს სატრანზიტო ღირებულებას ტრანსპორტირებული ნავთობის თითოეულ ბარელზე. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ თავდაპირველი გარიგება მოიცავდა ფინანსურ იჯარას დაწყების თარიღიდან, იმის გამო, რომ საიჯარო ხელშეკრულება მოიჯარეს გადასცემდა საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და ანაზღაურებას.

„ჯგუფმა“ აღიარა ფინანსური იჯარის მოთხოვნა 39,229 ათასი ლარის ოდენობით იმ თარიღში, როდესაც საკუთრების უფლება მილსადენებზე გადაეცა „ჯგუფს“. ფინანსური იჯარის მოთხოვნა წარმოადგენს წმინდა ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას იჯარაში, რომელიც აქტივების არაუზრუნველყოფილი ნარჩენი ღირებულების მიმდინარე ღირებულებას მოიცავდა იჯარის ვადის ბოლოს, რომელიც დისკონტირდება იჯარაში არსებული საპროცენტო განაკვეთით. 230,070 ათასი ლარის სხვაობა იჯარაში წმინდა ინვესტიციების ნომინალურ და მიმდინარე ღირებულებას შორის აღიარებულ იქნა კაპიტალში სამართლიანი ღირებულების ცვლილების სახით, მესაკუთრის არაფულადი შენატანისთვის.

2018 წლის განმავლობაში „ჯგუფმა“ გადახედა ფინანსური იჯარის მოთხოვნის არაგარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას და 2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აჩვენა ის 67,854 ათასი ლარის ღირებულებით. აღნიშნული გადახედვა შეიცავდა მოსაზრებებს გარკვეულ შეფასებებთან დაკავშირებით, რომელიც არსებითად გაურკვეველია. ყველა ცვლილება ძირითად მაჩვენებლებში, მათ შორის დისკონტირების განაკვეთის შემცირება, რომელიც გამოიყენება ფინანსური იჯარის მოთხოვნის არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების მიმდინარე ღირებულების დასადგენად და აქტივების მიერ გამომუშავებული ტრანსპორტირების გადასახადიდან მისაღები, დაგეგმილი ფულადი ნაკადების შემცირება გათვალისწინებულ იქნა 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. „ჯგუფმა“ გამოიყენა ფინანსური იჯარის მოთხოვნის განახლებული მოდელი 2018 წლის 1-ლი იანვრიდან და 2018 წლის მოთხოვნის დისკონტის ამოტრიალების გაანგარიშება მოხდა ისე, რომ „ჯგუფმა“ აღიარა 4,981 ათასი ლარის ფინანსური საიჯარო მოთხოვნის დისკონტირების დაბრუნება 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (შენიშვნა 11).

’000 ლარი	2018	2017
ფინანსური საიჯარო მოთხოვნა 1 იანვარს	62,873	59,037
ფინანსური საიჯარო მოთხოვნის დისკონტირების დაბრუნება	4,981	3,836
ფინანსური საიჯარო მოთხოვნა 31 დეკემბერს	67,854	62,873

ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულმა პირობითმა საიჯარო გადასახადმა, რომელიც 2018 წლის განმავლობაში კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაშია აღიარებული, 18,367 ათასი ლარი (2017 წელს: 18,315 ათასი ლარი) შეადგინა.

16. გაცემული სესხები

'000 ლარი	2018	2017
გრძელვადიანი აქტივები		
აქციონერებზე გაცემული სესხი	13,613	12,041
მესამე პირებზე გაცემული სესხი	1,339	-
სულ	14,952	12,041

აქციონერზე - სს „საპარტნიორო ფონდზე“ გაცემული სესხი არაუზრუნველყოფილ სუბორდინირებულ სესხს წარმოადგენს და ის აშშ დოლარშია დენომინირებული (4,500 ათასი აშშ დოლარი). მასზე ირიცხება სახელშეკრულებო წლიური საპროცენტო განაკვეთი 9,5%-ის ოდენობით და მისი დაფარვის ვადაა 2021 წლის 31 მაისი.

2018 წლის მარტში „კომპანიამ“ გასცა სესხი ჯორჯიან ოილ ენდ გაზ ლიმიტედ-ზე (არ არის ურთიერთდამოკიდებული მხარე) 500 ათასი დოლარის ოდენობით. სესხზე ირიცხება სახელშეკრულებო წლიური საპროცენტო განაკვეთი 9,5%-ის ოდენობით. ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2020 წლის 16 მარტისა.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე და სესხებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია 23-ე შენიშვნაში.

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2018	2017
გრძელვადიანი აქტივები		
რესტრუქტურირებული მოთხოვნები*	18,959	21,169
სულ გრძელვადიანი	18,959	21,169
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	121,909	139,948
რესტრუქტურირებული მოთხოვნები*	4,510	4,510
სხვა მოთხოვნები	961	2,568
სულ მიმდინარე	127,380	147,026
	146,339	168,195

*2017 წლის 16 ნოემბერს, „კომპანიამ“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია) გააფორმეს ხელშეკრულება მთავარი გაზის მილსადენის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნის რესტრუქტურირების შესახებ. ხელშეკრულების მხარეებმა შეათანხმეს გადახდის გრაფიკი, რის საფუძველზეც მთლიანი თანხა დაიფარება 2025 წლის ბოლოსთვის. მოთხოვნის რესტრუქტურირება გულისხმობს პირობების არსებით მოდიფიცირებას; შესაბამისად, რესტრუქტურირების დღეს „კომპანიამ“ შეწყვიტა არსებული მოთხოვნის აღიარება და აღიარა ახალი აქტივი ახალი პირობების გათვალისწინებით. 2017 წელს ნაშთის სამართლიანი ღირებულების დაანგარიშება პირველადი აღიარებისას, მოხდა მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირდა საბაზრო საპროცენტო განაკვეთით 10.86%-ის ოდენობით (შენიშვნა 11). 2018 წელს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ განახორციელა გადახდა 5,000 ათასი ლარის ოდენობით, ზემოხსენებული გადახდის გრაფიკის მიხედვით.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია 23-ე შენიშვნაში.

18. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ნაღდი ფულის ბალანსები

'000 ლარი	2018	2017
საბანკო მიმდინარე ანგარიშები	230,237	203,711
მოთხოვნამდე დეპოზიტები	118,358	295,249
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში და კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	348,595	498,960

მოთხოვნამდე დეპოზიტები წარმოადგენს ბანკებში განთავსებულ ვადიან ანაზღაურებას, შეძენის დღიდან სამ თვეზე მეტი დაფარვის ვადით, რომელთათვისაც „ჯგუფს“ აქვს ერთპიროვნული უფლებამოსილება მოხსნას თანხა დეპოზიტიდან შეტყობინების გაგზავნიდან რამდენიმე დღეში, მნიშვნელოვანი ჯარიმის დარიცხვის ან პროცენტის დაკარგვის გარეშე. შესაბამისად, ამ ვადიანი დეპოზიტების კლასიფიცირება ხდება მათი ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც მოთხოვნამდე დეპოზიტს ახასიათებს.

შეზღუდული ნაღდი ფული

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული ნაღდი ფულის ბალანსი 5,607 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს: 0 ლარი) წარმოადგენს აკრედიტაციის ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს ერთ-ერთ ბანკში გაყინულ თანხას.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე „ჯგუფის“ დამოკიდებულება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია 23-ე შენიშვნაში.

19. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა (სხვაგვარად მითითებამდე)

	ჩვეულებრივი აქციები	
	2018	2017
ნომინალური ღირებულება	ლარი 20	ლარი 20
გამოშვებული 1 იანვარს	31,245,797	30,854,651
აქციების გამოშვება არაფულადი აქტივების შენატანების სანაცვლოდ	83,971	391,146
გამოშვებული 31 დეკემბერს	31,329,768	31,245,797

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები, და ასევე აქვთ „კომპანიის“ კრებაზე ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

(b) დამატებითი გადახდილი კაპიტალი

დამატებითი გადახდილი კაპიტალი წარმოადგენს „ჯგუფისთვის“ საქართველოს მთავრობის (რომელიც ასრულებს მისი აქციონერის ფუნქციას) მიერ მინიჭებულ სარგებელს.

(c) დივიდენდები და აქციონერებზე გაცემული სხვა განაწილებები

2018 წელს გამოცხადდა და გადახდილ იქნა დივიდენდები 77,142 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს: 27,313 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები გამოცხადდა და გადახდილ იქნა).

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 მარტის ბრძანების №531 საფუძველზე, რომელიც „კომპანიის“ მიერ 2012-2017 წლებში გენერირებული წმინდა მოგებიდან „კომპანიის“ წმინდა მოგების განაწილებას უკავშირდებოდა, მაქსიმალური განაწილებადი რაოდენობა შეადგენს წინა წლის წმინდა მოგების 35%. იგივე მიდგომა გავრცელდა 2018 წელზე.

(d) არაკონტროლირებადი წილი

არაკონტროლირებადი წილი წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდის“ შენატანს საწესდებო კაპიტალში და მის წილს შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგურის“ („ჯგუფის“ 51%-იანი შვილობილი კომპანია) მთლიან გაუნაწილებელ მოგებაში (იხილეთ შენიშვნა 24).

20. კაპიტალის მართვა

„ჯგუფს“ არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას „ჯგუფის“ საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, და ასევე ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის, „ჯგუფის“ შემოსავლებისა და მოგების და იმ გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომლებიც ძირითადად „ჯგუფის“ საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ღონისძიებების გატარებით, „ჯგუფი“ მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვაში „ჯგუფის“ მიდგომის ცვლილებას.

„კომპანია“ ან/და მისი შვილობილი კომპანიები არ წარმოადგენენ გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

21. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია „ჯგუფის“ პროცენტის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე „ჯგუფის“ დამოკიდებულებების შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ 23-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	2018	2017
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გამოშვებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაცია	658,134	637,381
	658,134	637,381
მიმდინარე ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	67,512
გამოშვებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაციის მიმდინარე ნაწილი	13,486	11,007
	13,486	78,519
	671,620	715,900

(a) ვადები და სესხის დაფარვის გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018 წელი				31 დეკემბერი 2017 წელი	
	ნომინალური		წელი	ლირებულება	ნომინალური	ლირებულება
	ვალუტა	საპროცენტო დაფარვის განაკვეთი				
სესხები ბანკებისგან	აშშ დოლარი	5.00%	2018	-	-	12,979
სესხები ბანკებისგან	აშშ დოლარი	6.50%	2018	-	-	54,533
არაუზრუნველყოფილი	აშშ დოლარი					
ობლიგაციის გამოშვება	აშშ დოლარი	6.75%	2021	669,150	671,620	648,050
სულ პროცენტადანი ვალდებულებები				669,150	671,620	715,562
						715,900

2016 წლის აპრილში „ჯგუფმა“ გამოუშვა, განათავსა და ლონდონის საფონდო ბირჟაზე დაარეგისტრირა (ლისტინგი) 250 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები და ვადაზე ადრე გამოისყიდა 2012 წლის ობლიგაციები.

(b) აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობის შედარება ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	კაპიტალი	ვალდებულებები	სულ
	გაუნაწილებელი მოგება	სესხები და კრედიტები	
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	423,028	715,900	1,138,928
სესხების დაფარვა	-	(68,358)	(68,358)
გადახდილი დივიდენდები	(77,142)	-	(77,142)
ფინანსურ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული ჯამური ცვლილებები	(77,142)	(68,358)	(145,500)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტი	-	20,514	20,514
საპროცენტო ხარჯი	-	42,634	42,634
კაპიტალიზებული საპროცენტო ხარჯი	-	7,050	7,050
გადახდილი პროცენტი	-	(46,120)	(46,120)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	-	24,078	24,078
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	345,886	671,620	1,017,506

'000 ლარი	კაპიტალი	ვალდებულებები	სულ
	გაუნაწილებელი მოგება	სესხები და კრედიტები	
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	264,778	802,399	1,067,177
ამონაგები სესხებიდან	-	69,914	69,914
სესხების დაფარვა	-	(130,227)	(130,227)
გადახდილი დივიდენდები	(27,313)	-	(27,313)
ფინანსურ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული ჯამური ცვლილებები	(27,313)	(60,313)	(87,626)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტი	-	(28,808)	(28,808)
საპროცენტო ხარჯი	-	48,695	48,695
გადახდილი პროცენტი	-	(46,073)	(46,073)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	-	(26,186)	(26,186)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	237,465	715,900	953,365

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	22,632	19,619
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	4,263	9,634
სხვა ვალდებულებები	24	1
	26,919	29,254

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით „ჯგუფის“ დამოკიდებულება სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე განხილულია 23-ე შენიშვნაში.

23. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ ფასით, რომელიც სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში, მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული რეალიზებადად აქტივების გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

„ჯგუფმა“ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს ისეთი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება, რომელიც ასახავს აქტივის გაყიდვით მისაღებ ან ვალდებულების გადაცემისას გადასახდელ ფასს შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება ბაზრის საპროცენტო განაკვეთით ანგარიშგების თარიღში.

არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების სამართლიანი ღირებულების ხელმძღვანელობისეულმა შეფასებამ გამოიღო ფასების დიაპაზონი, რომელიც დაახლოებით საბალანსო ღირებულებას უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზეა რეგისტრირებული, ბაზარი არ არის აქტიური, რადგან მონაწილეები ძირითადად ინსტიტუციონალური ინვესტორები არიან, ხოლო ბრუნვა ბაზარზე არ არის მაღალი.

„ჯგუფის“ სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გონივრულად არის მიახლოებული მათ სამართლიან ღირებულებასთან.

(b) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით „ჯგუფი“ შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ (b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ (c));
- საბაზრო რისკი (იხილეთ (d)).

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა „ჯგუფის“ რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე.

„ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილებიან ბაზრის პირობებისა და „ჯგუფის“ საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „ჯგუფის“ ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშობა „ჯგუფის“ კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან, ვადიანი დეპოზიტებიდან და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან.

ფინანსური აქტივების და ავანსების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს. ანგარიშგების თარიღისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება იყო შემდეგი:

’000 ლარი	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
		2018	2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები *	17	146,339	168,195
გაცემული სესხები	16	14,952	12,041
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ნაღდი ფული	18	354,202	498,960
		515,493	679,196

(iii) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო რისკის მიმართ უმეტესწილად განპირობებულია მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, მენეჯმენტი ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მისი მომხმარებლების ბაზის საკრედიტო რისკზე, ინდუსტრიის და ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომელშიც ოპერირებენ მომხმარებლები. ამონაგების განაწილების დეტალები მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კლიენტებისგან ავანსების მოთხოვნის ან კორპორატიული კლიენტებისთვის მაქსიმალური გადახდის პერიოდის (ერთი თვე) განსაზღვრით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული უზრუნველყოფა ზოგადად არ მოითხოვება. „ჯგუფს“ არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნები, რომლებზეც არ აღიარდება გაუფასურების ზარალი უზრუნველყოფის არსებობის გამო.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2018	2017
ადგილობრივი *	144,394	161,348
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები	-	4,954
დსთ-ს ქვეყნები	1,945	1,893
	146,339	168,195

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკის მაქსიმალური დამოკიდებულება ანგარიშგების თარიღისთვის კლიენტების ტიპების მიხედვით იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2018	2017
გაზის დისტრიბუტორები	92,024	117,133
ელექტროენერგიის დისტრიბუტორები	25,479	12,677
გაზის მილსადენის საიჯარო ქირა * (შენიშვნა 17)	27,316	29,829
ნავთობით ვაჭრობა	-	4,954
სხვა	1,520	3,602
	146,339	168,195

2018 წლის 31 დეკემბერს, „ჯგუფს“ ჰყავდა ორი მომხმარებელი, რომელთა ნაშთი აღემატებოდა მთლიანი სავაჭრო მოთხოვნის 10%-ს (2017 წლის 31 დეკემბერს: ორი მომხმარებელი). ამ ნაშთების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 91,856 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერს: 116,749 ათასი ლარი) და 27,316 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერს: 29,829 ათასი ლარი).

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასება კორპორატიული კლიენტებისთვის 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის და 31 დეკემბრისთვის

„ჯგუფის“ მიერ საკრედიტო რისკების დონეების მიხედვით გადანაწილება ხდება იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია დანაკარგების რისკების განსაზღვრა (მათ შორის გარე რეიტინგების, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების, მმართველობითი ანგარიშების და ფულადი ნაკადების პროგნოზების და სხვა კლიენტთან დაკავშირებული გარე ინფორმაციის საფუძველზე). საკრედიტო რისკების დონეები განისაზღვრება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც არის დეფოლტის რისკის მაჩვენებელი და შეესაბამება სააგენტოების მიერ მიკუთვნებულ გარე საკრედიტო რეიტინგების განმარტებებს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები

მოცემული ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას სავაჭრო მოთხოვნების დამოკიდებულებაზე საკრედიტო რისკების მიმართ და ამ მოთხოვნებზე დაანგარიშებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

’000 ლარი	2018	2018	2018
	არ არის საკრედიტო გაუფასურება	საკრედიტო გაუფასურება	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის დონე			
დაბალი რისკი	119,023	-	119,023
საშუალო რისკი	27,316	-	27,316
მაღალი რისკი	-	7,944	7,944
სულ გროსი საბალანსო ღირებულება	146,339	7,944	154,283
დანაკარგის რეზერვი	(350)	(7,594)	(7,944)
სულ ნეტი საბალანსო ღირებულება	145,989	350	146,339

დაბალი რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს საშუალება შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, ნაკლებად სავარაუდოა, გავლენა იქონიოს ხელშეკრულების მხარის გადახდისუნარიანობაზე. საგარეო საკრედიტო რეიტინგი BBB- დან BB+ მდე (S&P).

საშუალო რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს რესტრუქტურიზირებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელიც უნდა დაიფაროს უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია გავლენა იქონიოს ხელშეკრულების მხარის გადახდისუნარიანობაზე.

მაღალი რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს მცირე შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, დიდი ალბათობით იქონიებს გავლენას ხელშეკრულების მხარის გადახდისუნარიანობაზე.

შესადარისი ინფორმაცია ბასს 39-ის მიხედვით

„ჯგუფის“ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კრედიტის ხარისხი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

’000 ლარი	ბრუტო 2017	გაუფასურება 2017
ვადაგადაცილების გარეშე	38,690	-
0-30 დღემდე ვადაგადაცილება	35,892	-
31-365 დღემდე ვადაგადაცილება	87,539	-
ერთ წელზე მეტი ვადაგადაცილება	6,074	2,102
	168,195	2,102

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში. 2017 წლის შესადარისი თანხები წარმოადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც აღიარებოდა ბასს 39-ის მიხედვით.

’000 ლარი	2018	2017
ბალანსი 1 იანვრისთვის ბასს 39-ის მიხედვით	2,102	3,442
კორექტირება ფასს 9-ის თავდაპირველ დანერგვაზე	5,966	-
ბალანსი 1 იანვრისთვის ფასს 9-ის მიხედვით	8,068	3,442
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალის ამოტრიალება	-	(1,340)
ბალანსი 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,068	2,102

(iv) გაცემული სესხები

2018 წელს „კომპანია“ გასცა სესხი მესამე პირზე - ჯორჯიან ოილ ენდ გაზ ლიმიტედზე. 2017 წელს „ჯგუფმა“ მის აქციონერზე - სს „საპარტნიორო ფონდი“ გასცა სესხი. სს „საპარტნიორო ფონდი“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უმსხვილესი კომპანიაა, რომელსაც Fitch-ის საკრედიტო რეიტინგით მინიჭებული აქვს BB- შეფასება; სესხის პირობები აღწერილია მე-16 შენიშვნაში. შესაბამისად, ხელმძღვანელობის შეფასებით გაცემულ სესხებთან მიმართებაში დაკავშირებულ საკრედიტო რისკს ადგილი არ აქვს.

(v) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ნაღდი ფული

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფს“ დეპოზიტები განთავსებული აქვს 3 ბანკში, რომელთა ნაშთები აღემატება მთლიანი ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების 10 პროცენტს (2017 წლის 31 დეკემბრის: 3 ბანკი). ამ ნაშთების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 284,889 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბრის: 410,469 ათასი ლარი). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთების დაახლოებით 97% განთავსებულია საქართველოს 3 ბანკში, რომელთაგან ორს Fitch-ის გრძელვადიანი

საკრედიტო რეიტინგით აქვს BB-შეფასება და ერთს - რუსული ბანკის ქართულ შვილობილ კომპანიას გრძელვადიანი Fitch-ის რეიტინგი - BB+. ბანკებში არსებული ნაშთების 3% განთავსებულია 4 ქართულ ბანკში, Fitch-ის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგებით B+ და B.

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების და შეზღუდული ბალანსების გაუფასურება დაანგარიშებული იყო 12-თვიანი საკრედიტო დანაკარგების საფუძველზე და ასახავს მოკლე ვადიან დამოკიდებულებას. „ჯგუფი“ მიიჩნევს, რომ ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს და შეზღუდულ ბალანსებს, კონტრაქტორების გარე საკრედიტო რეიტინგებიდან გამომდინარე, აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი.

ფასს 9-ის თავდაპირველი დანერგვის შედეგად და 2018 წლის განმავლობაში, ჯგუფმა არ აღიარა გაუფასურების რეზერვი ზემოხსენებულ ბალანსებზე.

(c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „ჯგუფი“ სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც სწორდება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. „ჯგუფის“ მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან „ჯგუფის“ რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. „ჯგუფის“ ლიკვიდურობის მართვა ასევე მოიცავს ობლიგაციის გამოშვების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უზრუნველყოფების მონიტორინგს.

ზოგადად, „ჯგუფს“ ყოველთვის აქვს სათანადო მოთხოვნამდე ფულადი სახსრები, მისი მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად 60 დღის განმავლობაში, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ჩათვლით; ეს გამორიცხავს ისეთი გაუთვალისწინებელი ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის გონივრულ ფარგლებში წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები.

ლიკვიდურობის რისკზე დამოკიდებულება

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების, დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები. თანხები მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს. მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში შესული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად ადრე წარმოიშვება, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

'000 ლარი	საბალანსო	სახელშეკრულებო	0-6	6-12	1-3
2018	ღირებულება	ფულადი ნაკადები	თვე	თვე	წელი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
არაუზრუნველყოფილი					
ობლიგაციების გამოშვება	671,620	782,069	22,584	22,584	736,901
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,919	26,919	26,919	-	-
	698,539	808,988	49,503	22,584	736,901

'000 ლარი	საბალანსო	სახელშეკრულებო	0-6	6-12	1-3	3-5
2017	ღირებულება	ფულადი ნაკადები	თვე	თვე	წელი	წელი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
არაუზრუნველყოფილი						
ობლიგაციების გამოშვება	648,388	801,153	21,872	21,872	87,487	669,922
არაუზრუნველყოფილი სესხები	67,512	70,070	1,973	68,097	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,254	29,256	29,256	-	-	-
	745,154	900,479	53,101	89,969	87,487	669,922

(d) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს „ჯგუფის“ შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს ბაზრის რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

(i) სავალუტო რისკი

„ჯგუფი“ ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ შესყიდვებთან, გაყიდვებთან და სესხებთან დაკავშირებით, რომლებიც დენომინირებულია „ჯგუფში“ შემავალი საწარმოების შესაბამისი სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციებია უპირატესად დენომინირებული არის აშშ დოლარი. ზოგადად, „ჯგუფის“ სესხები იმ ვალუტებშია დენომინირებული, რომლებიც შეესაბამება „ჯგუფის“ ქვემდებარე ოპერაციების საფუძველზე გენერირებულ ფულად ნაკადებს. ეს უზრუნველყოფს ეკონომიკურ ჰეჯირებას წარმოებული ინსტრუმენტების ხელშეკრულებების გაფორმების საჭიროების გარეშე.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

სავალუტო რისკზე დამოკიდებულება

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2018	აშშ დოლარში დენომინირებული 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,949	6,793
გაცემული სესხები	14,952	12,041
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	64,042	88,761
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(10,876)	(6,640)
სესხები და კრედიტები	(671,620)	(715,900)
წმინდა დამოკიდებულება	(601,553)	(614,945)

წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების თარიღის სპოტ- განაკვეთი	
	2018	2017	2018	2017
აშშ დოლარი	2.5345	2.5086	2.6766	2.5922

მგრძნობელობის ანალიზი

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გონივრულად შესაძლებელი 10%-იანი გამყარება (2017 წელს 10%), რომელიც ქვემოთ არის მითითებული, 31 დეკემბერს იმოქმედებდა ფინანსური უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და გაზრდიდა/(შემცირებდა) მოგება-ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზი ადგენს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის უარყოფს ნებისმიერ გავლენას მომავალ ყიდვა-გაყიდვებზე.

'000 ლარი	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2018 წელი	60,155
31 დეკემბერი 2017 წელი	61,495

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურება 31 დეკემბრის მდგომარეობით ექნებოდა თანაბარი, მაგრამ უკუ ეფექტი ზემოთ ნაჩვენები ოდენობით, იმის საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება. უცხოური ვალუტის კურსის ცვალებადობას პირდაპირ კაპიტალზე გავლენა არ ექნება.

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადი განაკვეთის მქონე სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს „ჯგუფი“ დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. ამასთან, ახალი სესხებისა და კრედიტების აღებისას ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, იქნება თუ არა ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთი მეტად სასურველი „ჯგუფისთვის“ მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე.

დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე

ანგარიშგების თარიღისთვის „ჯგუფის“ პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2018	2017
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
გაცემული სესხები	14,952	12,041
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	354,202	498,960
სესხები და კრედიტები	(671,620)	(715,900)
	(302,466)	(204,899)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

„ჯგუფი“ არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღიარებით ან გასაყიდად ხელმისაწვდომის სახით. შესაბამისად, ცვლილებას საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის არ ექნება გავლენა მოგება-ზარალზე ან საკუთარ კაპიტალზე.

24. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები და არაკონტროლირებადი წილი

2013 წლის ოქტომბერში „კომპანია“ და სს „საპარტნიორო ფონდმა“ დააფუძნეს ახალი შვილობილი კომპანია შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური“ 51% და 49% წილობრივი მონაწილეობით, შესაბამისად. საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. გადახდილი საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 175,185 ათას ლარს (2017 წელს: 175,185 ათასი ლარი) შეადგენდა.

შვილობილი კომპანიის წესდების თანახმად, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას სჭირდება ერთპიროვნული შეთანხმება. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ „ჯგუფი“ აკონტროლებს შვილობილ კომპანიას, რადგან ის ექვემდებარება (აქვს უფლება) ცვალებად ამონაგებს შვილობილ კომპანიაში მისი ჩართულობიდან და მას შესწევს უნარი ასახოს ამგვარი ამონაგები შვილობილ კომპანიაზე მისი უფლებამოსილების გამოყენების გზით. დასკვნა ეფუძნება საკუთრების წილის პროცენტულ მაჩვენებელს და შვილობილი კომპანიის წესდებაში განსაზღვრული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას, რომლისთვისაც საჭიროა მხოლოდ ხმათა უმრავლესობა.

შვილობილი კომპანია შეიქმნა გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის (CCPP) მშენებლობისა და ექსპლოატაციის მიზნით. სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის ივლისის თვეში დასრულდა. გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა შემოსავლის გენერირება 2015 წლის სექტემბრის თვიდან დაიწყო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ინფორმაცია „ჯგუფის“ შვილობილი კომპანიის „გარდაზნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის“ შესახებ, რომელსაც მატერიალური არაკონტროლირებადი ინტერესი გააჩნია (NCI):

'000 ლარი	2018	2017
NCI პროცენტი	49%	49%
გრძელვადიანი აქტივები	432,734	415,952
მიმდინარე აქტივები	58,337	57,142
გრძელვადიანი ვალდებულებები	(288,088)	(321,530)
მიმდინარე ვალდებულებები	(16,126)	(10,620)
წმინდა აქტივები	186,856	140,944
NCI-ს საბალანსო ღირებულება	91,560	69,063
შემოსავალი	209,090	199,711
მოგება/(ზარალი)	45,913	58,934
მთლიანი სრული მოგება/ზარალი	45,913	58,934
NCI-ის კუთვნილი მოგება/(ზარალი)	22,497	28,878
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	71,209	108,590
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობებში	(35,472)	(3,204)
გამოყენებული ფულადი ნაკადები (NCI-ს დივიდენდები: წული)	(50,577)	(84,593)
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(14,840)	20,793

2016 წლის აგვისტოში შეიქმნა ახალი შვილობილი კომპანია შპს „გარდაზნის თბოელექტროსადგური 2“, საწესდებო კაპიტალით 10,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელშიც „კომპანია“ 100%-იან წილს ფლობს. 2017 და 2018 წლების განმავლობაში, „ჯგუფმა“ დამატებითი ინვესტიცია განახორციელა შპს „გარდაზნის თბოელექტროსადგურის 2“ კაპიტალში და 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით ახალი შვილობილი კომპანიის კაპიტალმა 350,193 ათასი ლარი შეადგინა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღისთვის დასრულებული წლისთვის, შვილობილ კომპანიას გააჩნდა მიმდინარე აქტივების ავანსების მატერიალური ნაშთი 62,681 ათასი ლარის ოდენობით, რომლიდანაც 57,328 ათასი ლარი გამოიყო კომპანიისთვის „China Tianchen Engineering Corporation“ „გარდაზნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის“ დაპროექტებასთან, ნასყიდობასა და მშენებლობასთან დაკავშირებით. „გარდაზნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის“ მშენებლობა დამონტაჟებული სიმძლავრით 230 მგვტ დასრულდება 2019 წლის ბოლოსთვის (შენიშვნა 14).

2017 წლის აგვისტოში, დარეგისტრირდა ახალი შვილობილი კომპანია „GOGC Trading SA“, რომლის რეგისტრირებული მისამართია ჟენევა, შვეიცარია. „კომპანიის“ მიზანს წარმოადგენს ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობ-ქიმიკატების და სხვა საქონლით ვაჭრობა, ასევე ლოგისტიკა. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ 100%-იან წილს ფლობს შვილობილ კომპანიაში, ფიქსირებული სააქციო კაპიტალით 100,000 შვეიცარული ფრანკის ოდენობით.

2018 წელს დამატებითი შენატანი 350 ათასი შვეიცარული ფრანკის ოდენობით, განხორციელდა GOGC Trading SA-ის კაპიტალში.

2018 წლის ოქტომბერში დაფუძნდა ახალი შვილობილი კომპანია შპს საქართველოს მიწისქვეშა გაზსაცავის კომპანია (შემდგომში - სმგკ), რეგისტრირებული ოფისით - თბილისი, საქართველო, რომელშიც კომპანია ფლობს 100%-იან წილს. წესდების მიხედვით, სმგკ-ს თავდაპირველი კაპიტალი განისაზღვრა 100 ათასი ლარით. სმგკ დაფუძნდა საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისა და ოპერირებისთვის. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ინვესტიციამ სმგკ-ში შეადგინა 238 ათასი ლარი (ფულადი შენატანები). 2018 წლის ბოლოს მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა არ დაწყებულა. კომპანია გეგმავს მშენებლობის დაწყებას 2019 წლის ბოლოსთვის.

25. კაპიტალური და სხვა ვალდებულებები

„ჯგუფმა“ გააფორმა მილსადენის და „გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის 2“ მშენებლობის ხელშეკრულებები, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი კაპიტალური ვალდებულებით 16,825 ათასი და 220,576 ათასი ლარის ოდენობით (შესაბამისად). (2017 წელს: 24,900 ათასი ლარი და 375,105 ათასი ლარი, შესაბამისად).

2018 წლის 11 ივნისს „ჯგუფის“, შპს ენგურჰესის და სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის წილობრივი მონაწილეობით (40%, 40% და 20% შესაბამისად) დაფუძნდა შპს ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური (შემდგომში - ეჰე). ეჰე დაფუძნდა ჰიდრომაკუმულირებელი სადგურის პროექტის მიზანშეწონილობის შესწავლისთვის და დადებითი შედეგების შემთხვევაში ეჰე-მ უნდა განახორციელოს აღნიშნული პროექტი. წესდების მიხედვით, პირველადი შენატანი ეჰე-ს საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა 1,500 ათასი აშშ დოლარით, რომელიც უნდა იქნას გადახდილი დამფუძნებლების მიერ მათი წილობრივი მონაწილეობის მიხედვით. 2018 წლის განმავლობაში ჯგუფმა განახორციელა 367 ათასი ლარის ინვესტიცია ეჰე-ს საწესდებო კაპიტალში.

„ჯგუფი“ წარმოადგენს დამატებითი გაზის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების მხარეს, რომელიც ძალაშია 2026 წლამდე, რომლის თანახმადაც „ჯგუფმა“ უნდა მიიღოს და გადაიხადოს ან ანაზღაუროს (მიღების გარეშე) კონკრეტული რაოდენობის გაზი წინასწარ განსაზღვრული ფასებით, რომლებიც ბუნებრივი გაზის მიმდინარე საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად დაბალია.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამატებითი გაზის მთლიანმა ნარჩენმა რაოდენობამ, რომლის შესყიდვა და ანაზღაურებაც იგეგმებოდა, შეადგინა 823,398 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბრის: 902,590 ათასი ლარი). „ჯგუფი“ ასევე წარმოადგენს გაზის გაყიდვის ხელშეკრულების მხარეს, რის საფუძველზეც მისმა კლიენტმა უნდა მიიღოს და ანაზღაუროს, ან ანაზღაუროს (მიღების გარეშე) „ჯგუფის“ მიერ შესყიდული გაზის მთლიანი რაოდენობა, მათ შორის დამხმარე გაზის მთლიანი რაოდენობა. შედეგად „ჯგუფს“ მიაჩნია, რომ დამხმარე გაზის შესყიდვასთან დაკავშირებით მათი ვალდებულება გაიქცეოდა „ჯგუფის“ კლიენტის ვალდებულებით, რომელიც მოიცავს გაზის რაოდენობის შესყიდვას და წარმოადგენს ეფექტურ ორმხრივ სახელშეკრულებო შეთანხმებას, როდესაც „ჯგუფი“ მის ვალდებულებებს გადასცემს „ჯგუფის“ კლიენტს.

26. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. „ჯგუფს“ არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო მოწყობილობების, ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონებასთან ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშობა „ჯგუფის“ ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ „ჯგუფი“ არ მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო ანაზღაურებას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან კონკრეტული აქტივების განადგურებას ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა „ჯგუფის“ ოპერაციებზე და ფინანსურ პოზიციაზე.

(b) სასამართლო დავა

ფრონტერას საქმე:

2018 წლის ივლისში, კომპანიამ და ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტომ (შემდგომში - ნგსს) შეიტანეს სარჩელი ფრონტერა რისორზ ჯორჯია ქორფორეიშენის (შემდგომში - ფრონტერა) წინააღმდეგ. კომპანია და ნგსს, სხვა მოთხოვნებთან ერთად, აყენებენ საკითხს ფრონტერას მიერ წილობრივი განაწილების ხელშეკრულების (პწგხ) გარკვეული პირობების არსებობად

დარღვევის თაობაზე, რაც მოიცავს საკონტრაქტო ფართობის დაახლოებით 99%-ის დაბრუნების ვალდებულებას, თუმცა არ შემოიფარგლება ამით. ამის გარდა, კომპანია და ნგსს ითხოვენ ზიანის ანაზღაურებას, მათ შორის ფულად კომპენსაციას, ნავთობის განაწილების და ტერიტორიის დაბრუნების ვალდებულებების დარღვევისთვის და კომპანიის მიერ გადახდილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ანაზღაურებას, რომელიც არ იყო ანაზღაურებული ფრონტერას მიერ.

კომპანიის და ნგსს-ის აზრით არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაადასტურებს ფრონტერას მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევას.

2018 წლის სექტემბერში ფრონტერამ შეიტანა შეგებებული სარჩელი 2012-2027 წლებში მიუღებელი 3,5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის მოგების ანაზღაურების მოთხოვნით, რაც კომპანიას და ნგსს-ის მიერ პწგბ-ს ვითომდა დაშვებულ დარღვევებს უკავშირდება. შეგებებული არ ეყრდნობა რაიმე სახის საექსპერტო გაანგარიშებას. კომპანია და ნგსს მიიჩნევენ, რომ შეგებებული სარჩელი არის უსაფუძვლო და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მისი გაპროტესტება. მიუღებელი მოგების ანაზღაურების თაობაზე სარჩელთან ერთად, ფრონტერამ დააყენა გადასახადებთან (დღგ და აქციზის გადასახადი) დაკავშირებული მოთხოვნა, რომლის ოდენობა 3,5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, და მოითხოვს XII ბლოკის ტერიტორიაზე დაშვების უფლების მოპოვების მიზნით გაწეული 74 ათასი აშშ დოლარის ოდენობის იურიდიული ხარჯების ანაზღაურება.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიას და ნგსს-ს აქვს სრული, ფაქტობრივი და იურიდიული საფუძველი საქმის მოსაგებად, ხოლო ფრონტერას მიერ შეგებებული მოთხოვნების დაკმაყოფილების ალბათობა მცირეა. საარბიტრაჟო წარმოება მიმდინარეობს, საქმეზე შემდეგი მოსმენა დაგეგმილია 2019 წლის ოქტომბერში.

„საქართველოს გაზის და ტრანსპორტირების კომპანიის“ საქმე:

2017 წლის ოქტომბერში, კომპანიამ შეიტანა სარჩელი „საქართველოს გაზის და ტრანსპორტირების კომპანია“-ს (მოპასუხე) წინააღმდეგ, რომლითაც ის ითხოვდა მოპასუხის მიერ „კომპანიისთვის“ ბუნებრივი აირის ხელშეკრულებით განსაზღვრული რაოდენობის მიუწოდებლობით გამოწვეული დაახლოებით 10,029 ათასი ლარის ზარალის ანაზღაურებას. ამასთან „კომპანია“ ითხოვს მიღსადენი სისტემისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას 706 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც იჯარით გაიცა „კომპანიის“ მოპასუხეზე იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მას ამუშავებდა ეს უკანასკნელი. თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელიც წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს, არ დააკმაყოფილა სარჩელი. „კომპანიამ“ საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში. მეორე მოსმენა სააპელაციო სასამართლოში გაიმართა 2019 წლის მარტში, თუმცა პროცესი არ დასრულებულა და დამატებითი მოსმენა დაინიშნა 2019 წლის დეკემბერში.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მენეჯმენტის შეფასებით, სასამართლო განხილვის შედეგი გაურკვეველია, რის შედეგადაც კომპანიას არ აქვს აღრიცხული რაიმე დავალიანება ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებები ახასიათებს, რაც ხშირად გაურკვეველი, ურთიერთგამომრიცხავი და განსხვავებული ინტერპრეტაციის საგანია. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადის, მოსაკრებლის ან ჯარიმის ვალდებულება არ დაეკისრება საგადასახადო უწყებების მიერ იმ წლის დასრულებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, როდესაც ადგილი ჰქონდა ამგვარ დარღვევას.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ჯგუფისეული“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(d) ეკოლოგიური საკითხები

საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესში იმყოფება და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. „კომპანია“ პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებას. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ცვლილებების განხორციელებით არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ან კანონმდებლობაში, თუმცა მათ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ ვითარებაში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

27. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) კონტროლის ურთიერთობები

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ მთლიანად ფლობს სს „საპარტნიორო ფონდი“. „ჯგუფის“ საბოლოო მაკონტროლებელი პირია საქართველოს მთავრობა. „ჯგუფის“ მშობელი კომპანია აქვეყნებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები მნიშვნელოვან მმართველ პერსონალთან

მმართველი ხელმძღვანელების ანაზღაურება

მმართველმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რაც შესულია თანამშრომელთა ხელფასებში:

'000 ლარი	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	1,037	916

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

„ჯგუფი“ ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა პირთან, რომლებიც კონტროლდება ან ერთობლივად კონტროლდება საქართველოს მთავრობის ან იმყოფება ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. „ჯგუფმა“ მიიღო ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) გამოყენების გადაწყვეტილება, რომელიც სამთავრობო უწყებებთან ოპერაციებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების შეზღუდული წარდგენის საშუალებას იძლევა.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ სხვა შემოსავლისა და ხარჯის, ასევე სამთავრობო უწყებებთან დაკავშირებული ნაშთების მთლიანი თანხა, ქვემოთ განსაზღვრულის გარდა, მნიშვნელოვანი არ არის.

„ჯგუფის“ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ქვემოთ არის განხილული. ოპერაციები საქართველოს მთავრობასთან განხილულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში 7, 12, 16, 17 და 19.

(i) შემოსავალი

	31 დეკემბრით დასრულებული წლის ოპერაციის ღირებულება		ნარჩენი ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2018	2017	2018	2017
’000 ლარი				
სახელმწიფოს მიერ				
კონტროლირებული საწარმოები:				
შემოსავალი გაზის მილსადენების იჯარიდან*	42,053	59,847	27,316	29,829
შემოსავალი ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მიწოდებიდან	171,947	180,420	17,891	11,268
	214,000	240,267	45,207	41,097

* მილსადენის იჯარის ნარჩენი ნაშთი წარმოადგენს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ (იხილეთ შენიშვნა 17) მიმართ არსებულ რესტრუქტურიზებულ მოთხოვნას. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

’000 ლარი	2017
სგტკ-ს მოთხოვნის ნეტო დღევანდელი ღირებულება 2018 წლის 1 იანვარი	25,689
სგტკ-ს მოთხოვნის ნაწილობრივი დაფარვა 2018 წლის განმავლობაში	(5,000)
მოთხოვნის დისკონტირების დაბრუნება (შენიშვნა 11)	2,780
სგტკ-ს მოთხოვნის ნეტო დღევანდელი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი	23,469

ანგარიშსწორება ელექტროენერგიის გამომუშავებიდან და მიწოდებიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებულ ნარჩენ ნაშთთან მიმართებაში ხორციელდება ნაღდი ფორმით, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

(ii) ხარჯები

	31 დეკემბრით დასრულებული წლის ოპერაციის ღირებულება		ნარჩენი ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2018	2017	2018	2017
’000 ლარი				
სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები:				
ბუნებრივი გაზის შესყიდვა	5,357	31,516	748	30
	5,357	31,516	748	30

ნარჩენი ნაშთების ანგარიშსწორება ხდება ნაღდი ფორმით, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

(iii) სესხები

	დარიცხული პროცენტი		დარჩენილი ნაშთები	
	2018	2017	2018	2017
’000 ლარი				
გაცემული სესხები:				
აქციონერი	1,221	376	13,613	12,041
	1,221	376	13,613	12,041

28. შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

29. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები მუდმივად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა ფასს 15 და ფასს 9-ის დანერგვისა 2018 წლის 1 იანვრიდან, და ის მუდმივად გამოიყენებოდა „ჯგუფის“ საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდირების საფუძველი

(i) არაკონტროლირებადი წილები

არაკონტროლირებადი წილები ფასდება შემძენის იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებში მათი პროპორციული წილით შესყიდვის დღეს.

ცვლილებები „ჯგუფის“ წილში შვილობილი კომპანიის მიმართ, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას აღირიცხება, როგორც კაპიტალის ოპერაციები.

(ii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად სტრუქტურულ ერთეულებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს საწარმოს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის განხორციელების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არაკონტროლირებადი წილის ზარალი მიკუთვნებულია არაკონტროლირებად წილზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არაკონტროლირებადი წილის უარყოფით ბალანსს.

(iii) წილი მეკავშირე კომპანიებში

„ჯგუფის“ წილი მეკავშირე კომპანიებში მოიცავს წილებს მეკავშირე საწარმოებში.

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენს პირებს, რომლებშიც „ჯგუფს“ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, მაგრამ არ ახორციელებს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვანი გავლენა არსებობს, როდესაც „ჯგუფი“ ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას სხვა საწარმოში.

წილი დაკავშირებულ საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარდება. ინვესტიციის ღირებულება მოიცავს ოპერაციების ღირებულებასაც.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს „ჯგუფის“ წილს მეკავშირე კომპანიების ინვესტიციებში მოგებაში ან ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში, „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკების გათვალისწინების შემდეგ, იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა, ამ უკანასკნელის დასრულებამდე.

როცა „ჯგუფის“ ზარალის წილი აღემატება მის წილს მეკავშირე კომპანიებში, ამგვარი წილის საბალანსო ღირებულება, რომელიც ნებისმიერ გრძელვადიან ინვესტიციებშია გათვალისწინებული, ნულამდე შემცირდება და შემდგომი ზარალის აღიარება დისკონტირდება, გარდა შემთხვევისა, როდესაც „ჯგუფს“ ექნება ვალდებულება ან განახორციელებს გადახდას ინვესტირების ობიექტის სასარგებლოდ.

(iv) კონსოლიდირებისას აღმოფხვრილი ოპერაციები

გამოირიცხება შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები და „ჯგუფის“ შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი ან ხარჯი.

(b) შემოსავალი

„ჯგუფმა“ თავდაპირველად დანერგა ფასს 15 2018 წლის 1 იანვრიდან. ინფორმაცია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, მოცემულია მე-5 შენიშვნაში. ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენების ეფექტი მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

(i) მილსადენის იჯარა

გაზის მილსადენების იჯარებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ საიჯარო გადასახადს, აღიარდება მოგებაში ან ზარალში ყოველთვიურად.

(ii) ნავთობის ტრანსპორტირება

ნავთობის ტრანსპორტირების საფასური მოიცავს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მიღებულ პირობით ქირას. შემოსავალი აღიარდება მილსადენებით გადაცემული ნავთობის მოცულობის მიხედვით, ხელშეკრულებით ბარელ ნავთობზე დადგენილი განაკვეთის საფუძველზე.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

„ჯგუფის“ ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- ფინანსური საიჯარო მოთხოვნის დისკონტირების დაბრუნება;
- საპროცენტო ხარჯი;
- კლიენტების მიერ გადახდის დაგვიანებისთვის დარიცხული ჯარიმები.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. მისაღები დივიდენდების აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება იმ თარიღისთვის, როდესაც დადგენილია ჯგუფის უფლებები გადახდების მიღებასთან დაკავშირებით.

‘ეფექტური საპროცენტო განაკვეთი’ არის განაკვეთი, რომელიც ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მომავალ ფულად გადახდებს ან მისაღებ თანხებს:

- ფინანსური აქტივის გროს საბალანსო ღირებულებამდე ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მიესადაგება აქტივის გროს საბალანსო ღირებულებას (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას. თუმცა, ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც გაუფასურდა, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო

შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე მისადაგებით. თუ აქტივი აღარ არის გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშება ისევ ხდება გროს ბაზაზე.

სესხებზე გაწეული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება ხარისხიანი აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული საკურსო მოგება და ზარალი აღიარდება ნეტო ბაზაზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებამ მოიტანა ნეტო შემოსავალი თუ ნეტო ხარჯი.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის თარიღისათვის არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) თანამშრომელთა ბენეფიტები

თანამშრომელთა მოკლევადიანი ბენეფიტის ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ „ჯგუფს“ ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ხსენებული თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლოა საიმედოდ იქნას შეფასებული.

(f) მოგების გადასახადი

ზოგადად მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე გადასახადს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს დივიდენდების გამოცხადებასთან დაკავშირებულ გადასახადს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის

სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში მოგვიანებით შევა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისა. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულების თანხა ანგარიშდება, როგორც წმინდა განაწილებული თანხის 15/85.

საგადასახადო ვალდებულების ჩათვლა გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე შესაძლებელია მოგების გადასახადზე, რომელიც გადაიხდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 წელს ან შემდგომ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულია პირის ეკონომიკურ საქმიანობებთან, უსასყიდლო მიწოდებებსა და დაშვებულ ზღვრებში წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ოპერაციებზე მოგების გადასახადის დარიცხვა. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) მიღმა განიხილავს და მათ აღირიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(გ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება FIFO მეთოდის პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. წარმოებული მარაგების და მიმდინარე სამუშაოს შემთხვევაში, ღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ნორმალური სამუშაო სიმძლავრის საფუძველზე.

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(h) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები ფასდება ღირებულებით, რომელსაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. აქციონერის მიერ შენატანის სახით განხორციელებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ძირითადი საშუალებების ღირებულება ფასს-ის მიღების თარიღისთვის (2008 წლის 1 იანვარი) განისაზღვრა მოცემულ თარიღში მის სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით („მოსალოდნელი ღირებულება“).

ფასი მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას. ინდივიდუალური ღირებულებების ხარჯი მოიცავს მასალის და პირდაპირი შრომის ხარჯებს, ნებისმიერი სხვა ხარჯი პირდაპირ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, დემონტაჟის და მისი გატანის ხარჯებს, ასევე იმ სამუშაო მოედნის აღდგენას, რომელზედაც ისინია განთავსებული, ასევე კაპიტალიზებულ სასესხო ხარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ამ მოწყობილობის ნაწილის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ან მოწყობილობის მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული მომსახურების ვადა აქვს, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეული (ძირითადი კომპონენტი).

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯი კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ დანახარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „ჯგუფში“ შემოედინება, და მისი ღირებულება სანდოდ შესაძლოა შეფასდეს. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ეფუძნება მაჩვენებელს, რომელიც ანგარიშდება აქტივის ღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა ზოგადად აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალების ერთეულის თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რადგან ეს მეთოდი ყველაზე რეალურად ასახავს აქტივის გამოყენების შედეგად მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის ხასიათს. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, სანამ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ იქნება, რომ „ჯგუფი“ იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

– გაზისა და ნავთობის მილსადენები	30-35 წელი;
– შენობა-ნაგებობები	50 წელი;
– ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეული	25 წელი;
– ნავთობის ჭაბურღილები	4-9 წელი;
– მანქანა დანადგარები	2-14 წელი;
– სხვა	1-6 წელი.

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველ ანგარიშგების წელს და ისინი საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

„ჯგუფი“ სავაჭრო მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის დღეს. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების დღეს, როდესაც „ჯგუფი“ ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება, თუ აქტივი არ არის რეალური ღირებულებით აღიარებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის ყიდვასთან ან გამომშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა, მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები - პოლიტიკები დანერგილი 2018 წლის 1 იანვრიდან

საწყისი აღიარებისას აქტივი კლასიფიცირდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ჯგუფის მიერ არ ხდება ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია, მათი საწყისი აღიარების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი ცვლის თავის, ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა დაკავშირებული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება ბიზნეს მოდელის შეცვლის საანგარიშო პერიოდის პირველ დღეს.

ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული პირობებიდან ორივეს და არ არის გამიზნული მისი აღიარება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ის მფლობელობაშია ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში აღიარდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული პირობებიდან ორივეს და არ არის გამიზნული მისი აღიარება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ის მფლობელობაშია ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფს აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციის რეალურ ღირებულებაში შემდგომში მომხდარი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც აღწერილია ზემოთ, აღიარდება

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს ვრცელდება ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივზე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსურ აქტივს, რომელიც სხვა შემთხვევაში აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვის კრიტერიუმებს, მიანიჭოს კატეგორია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამობებს.

ფინანსური აქტივები - პოლიტიკები, რომლებიც გამოიყენებოდა 2018 წლის 1 იანვრამდე

ჯგუფი აკლასიფიცირებდა ფინანსურ აქტივებს სესხების და მოთხოვნების კატეგორიებად, რომელიც აღიარდებოდა ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი აღიარება და მოგებები და ზარალები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ის კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული, არის წარმოებული ან ასეთად განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური ვალდებულებები შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება რეალური ღირებულებით და ნეტო მოგებებით და ზარალებით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტაზე, აგრეთვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის პირობების მოდიფიკაციისას ჯგუფი აფასებს რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავდება განახლებული აქტივის ფულადი ნაკადები. თუ ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება (რაც გულისხმობს „მნიშვნელოვან ცვლილებას“), მაშინ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიმართ არსებული სახელშეკრულებო უფლებები წყდება. ამ შემთხვევაში თავდაპირველად აღიარებული აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას ცვლილების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ანუ რამდენად განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადები და განახლებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადები. ჯგუფი აფასებს ცვლილების მნიშვნელობას რაოდენობრივ და ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით შემდეგი რიგითობით: ხარისხობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი ფაქტორები, ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების კომბინირებული ეფექტი. თუ ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, თავდაპირველად აღიარებულ ფინანსური აქტივის ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებები ითვლება ვად გასულად. ამ შეფასების გაკეთებისას ჯგუფს აქვს ანალოგიური მიდგომა, როგორც ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის ინტერუქციაში არის მითითებული.

ჯგუფი ასკვნის, რომ ცვლილება არის მნიშვნელოვანი შემდეგი ხარისხობრივი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ფინანსური აქტივის ვალუტის ცვლილება;
- ცვლილებები უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებები;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმებთან.

თუ განახლებული აქტივის ფულადი ნაკადები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, მაშინ ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას. ამ შემთხვევაში, ჯგუფი ახორციელებს გროს ნარჩენი ღირებულების გადაანგარიშებას და გადაანგარიშების შედეგად გროს ნარჩენ ღირებულებაზე დამატებულ თანხას აღრიცხავს მოგებაში ან ზარალში, როგორც ცვლილების შედეგად წარმოშობილ მოგებას ან ზარალს. ფინანსური აქტივის გროს ნარჩენი ღირებულება იანგარიშება როგორც მოლაპარაკებელი ან განახლებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, დისკონტირებული ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ნებისმიერი წარმოშობილი ხარჯი ან საკომისიო ემატება განახლებული ფინანსური აქტივის ნარჩენ ღირებულებას და ამორტიზდება განახლებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი პირობები იცვლება და განახლებული ფინანსური ვალდებულების ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამ შემთხვევაში, ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება რეალური ღირებულებით, განახლებულ პირობებზე დაყრდნობით. სხვაობა ფინანსური ვალდებულების ნარჩენ ღირებულებას შორის ქრება და ახალი ფინანსური ვალდებულება, შეცვლილი პირობებით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ჯგუფი იყენებს სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია ფინანსური აქტივების გროს ნარჩენი ღირებულების კორექტირების მოთხოვნებთან, როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ანუ ჯგუფი აღიარებს ნებისმიერ კორექტირებას, ასეთი ცვლილების შედეგად, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე მოგებაში ან ზარალში ცვლილების დღისთვის.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ განიხილება განახლებად, თუ ისინი განხორციელდა არსებული სახელშეკრულებო პირობების ფარგლებში, მაგალითად, ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში ინიცირებული ბანკების მიერ, ეროვნული ბანკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, თუ სესხის ხელშეკრულების პირობები აძლევს ბანკებს ამის უფლებას და ჯგუფს აქვს უფლება დაეთანხმოს გადახდილ საპროცენტო განაკვეთს ან დააბრუნოს სესხი ჯარიმების გარეშე. ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის საბაზრო საპროცენტო განაკვეთამდე ცვლილებისას იყენებს ინსტრუქციას, რომელიც ეხება ცვალებადი პროცენტის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს. ეს გულისხმობს იმას, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება პერსპექტიულად.

ჯგუფი ახორციელებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას იმისა, არის თუ არა ცვლილება მნიშვნელოვანი ხარისხობრივი, რაოდენობრივი და მათი კომბინირებული ფაქტორების ეფექტის გამოყენებით. ჯგუფი ასკვნის, რომ ცვლილება არის მნიშვნელოვანი შემდეგი ხარისხობრივი ფაქტორების მიხედვით:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- ცვლილებები უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებები;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების დაქვემდებარების ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასების პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება, თუ ახალი პირობების მიხედვით დისკონტირებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, ნებისმიერი გადახდილი ან მიღებული საკომისიოების ჩათვლით, რომლებიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, არანაკლებ 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების, დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალ ინსტრუმენტების გაცვლა ან

პირობების ცვლილება აღირიცხება, როგორც შეწყვეტა, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარდება როგორც ამ შეწყვეტის შედეგად წარმოშობილი მოგების ან ზარალის ნაწილი. თუ გაცვლა ან პირობების ცვლილება არ აღირიცხება როგორც შეწყვეტა, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო ემატება ვალდებულების ნარჩენ ღირებულებას და ამორტიზდება განახლებული ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა ან გადასცემს ისეთი ოპერაციიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, რომელშიც ფინანსური აქტივის საკუთრების უფლების პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა ან რომელშიც ჯგუფი არც გადასცემს და არც იტოვებს საკუთრების უფლების პრაქტიკულად ყველა რისკს და სარგებელს და ის არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ჯგუფი ახორციელებს ისეთ ოპერაციებს, რომლებშიც ის გადასცემს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და სარგებელს. ამ შემთხვევაში, გადაცემული აქტივების აღიარების შეწყვეტა არ ხდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. ჯგუფი აგრეთვე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხდება პირობების ცვლილება და განახლებული ვალდებულების ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რა შემთხვევაშიც ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, განახლებულ პირობებზე დაყრდნობით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა შეწყვეტისას არსებულ ნარჩენ ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის (ყველა გადაცემული არაფულადი აქტივისა და ნაგულისხმევი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ნეტო თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს ამაყმად აქვს სამართლებრივი უფლება გაქვითოს თანხები და ის აპირებს ან დაფაროს/ამოიღოს ისინი ნეტო ბაზაზე დაყრდნობით ან ერთდროულად აპირებს აქტივის გამოყენებას და ვალდებულების დაფარვას.

(j) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც, კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოფციონის გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დამატებითი ხარჯები აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გამოკლებით.

სააქციო კაპიტალის ზრდა

სააქციო კაპიტალი ზრდა ხორციელდება ახალი აქციების გამოშვების გზით. სააქციო კაპიტალის გაზრდისას ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით, მესაკუთრეთა არაფულადი შენატანების სამართლიანი ღირებულების შეცვლილი რეზერვით.

(k) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

2018 წლის 1 იანვრიდან მოქმედი პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დანაკარგების რეზერვს შემდეგზე:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე.

ჯგუფის მიერ გაანგარიშებული დანაკარგების რეზერვის თანხა უდრის ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების თანხას, ქვემოთ მოცემული გამონაკლისების გარდა, რომელიც იანგარიშება 12-თვიანი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების დღისთვის და
- სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი (ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე) მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

დანაკარგების რეზერვის თანხა სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ყოველთვის უდრის ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების თანხას.

როდესაც ხდება განსაზღვრა გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად, თავდაპირველი აღიარების შემდეგ და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია და ხელმისაწვდომია, დამატებითი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ის შეიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის ისტორიული გამოცდილებაზე და არსებულ საკრედიტო შეფასებებზე დაყრდნობით, საპროგნოზო ინფორმაციის ჩათვლით.

ჯგუფის შეფასებით ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ ვადაგადაცილება აღემატება 30 დღეს.

ჯგუფის შეფასებით ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები არ შესრულდა როდესაც:

- მცირეა ალბათობა იმისა, რომ მსესხებელი ჯგუფს მთლიანად დაუფარავს არსებულ ვალდებულებებს, ჯგუფის მხრიდან ისეთი ქმედებების მიმართვის გარეშე, როგორიცაა გირავნობის საგნის რეალიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებაშია 90 დღეზე მეტი ვადით.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად.

12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მაქსიმალურ პერიოდად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას განიხილება მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო დანაკარგების ალბათობა-შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დეფიციტის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ვარაუდობს „ჯგუფი“) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

(საკრედიტო რისკით) გაუფასურებული ფინანსური აქტივი

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, „ჯგუფი“ აფასებს გაუფასურდა თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ფინანსური აქტივი არის (საკრედიტო რისკით) გაუფასურებული, როდესაც მოხდა ერთი ან მეტი მოვლენა, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ფინანსური აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება დაკვირვებადი მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნეელები;
- ხელშეკრულების დარღვევა პირობების შეუსრულებლობის გამო ან 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებაში ყოფნა;
- ჯგუფის მიერ სესხის ან წინასწარ გადახდილი თანხების რესტრუქტურია ისეთი პირობებით, რომლებსაც „ჯგუფი“ სხვა შემთხვევებში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის მიერ გაკოტრების პროცედურის, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესის დაწყება; ან
- მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიძნეელების გამო.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების დანაკარგების რეზერვები გამოიქვეთება აქტივების გროს საბალანსო ღირებულებიდან.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის გროს საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც „ჯგუფს“ არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის „ჯგუფს“ აქვს განსაზღვრული გროს საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი არის 365 დღეზე მეტ

ვადაგადაცილებაში. კორპორატიული მომხმარებლების შემთხვევაში „ჯგუფი“ აკეთებს ინდივიდუალურ შეფასებას პერიოდზე და ჩამოწერის თანხაზე დაყრდნობით, იმის გათვალისწინებით არსებობს თუ არა აქტივის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერილი თანხებიდან ჯგუფი არ ელოდება მნიშვნელოვან ამოტრიალებას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს ჯგუფის თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი პოლიტიკა

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის იმის დასადგენად არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. ფინანსური აქტივი ითვლება გაუფასურებულად თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოხდა მოვლენა, რომელმაც გამოიწვია ზარალი და ამ მოვლენას ჰქონდა უარყოფითი გავლენა აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც შეიძლება იყოს საიმედოდ შეფასებული.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- მოვალის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება;
- „ჯგუფის“ მიმართ არსებული ვალდებულების რესტრუქტურისაცა იმ პირობებით, რომლებსაც „ჯგუფი“ სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოვალის გაკოტრების ინდიკატორების არსებობა;
- „ჯგუფის“ მოვალის გადახდისუნარიანობის სტატუსის გაუარესება;
- ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც მიუთითებს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომელიც მიანიშნებს „ჯგუფის“ ფინანსური აქტივებისგან მისაღები ფულადი ნაკადების შემცირებაზე, რომლის შეფასებაც არის შესაძლებელი.

ჯგუფი განიხილავს სესხების და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებებს, როგორც კონკრეტული აქტივის, ასევე კოლექტიურ დონეზე. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი და მოთხოვნა ფასდება ინდივიდუალურ გაუფასურებაზე. ყველა მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელიც არ არის ინდივიდუალურად გაუფასურებული შემდეგ ფასდება კოლექტიურად გაუფასურებისთვის, რომელიც შეიძლება მოხდეს, მაგრამ არ იყო იდენტიფიცირებული. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კოლექტიურად ფასდება გაუფასურებისთვის მათი დაჯგუფებით მსგავსი რისკის მახასიათებლების მიხედვით.

კოლექტიური გაუფასურების განსაზღვრისას ჯგუფი იყენებს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ალბათობის ისტორიულ ტრენდებს, ამოღების პერიოდს და დამდგარი ზარალის ოდენობას, რომელიც კორექტირდება მენეჯმენტის შეფასებით, არსებული ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობის გათვალისწინებით, იქნება თუ არა რეალური ზარალი, შემოთავაზებულ ისტორიულ ტრენდებზე მეტი ან ნაკლები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი იანგარიშება, როგორც სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დისკონტირებულს აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში და აღირიცხება, როგორც რეზერვის ანგარიში სესხების და მოთხოვნების ნაწილში. პროცენტი გაუფასურებულ აქტივზე აღიარდება, როგორც დისკონტირების დაბრუნება. როდესაც შემდგომი მოვლენები იწვევს გაუფასურების ზარალის თანხის შემცირებას, გაუფასურების ზარალის შემცირება

ტრიალდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

მეკავშირე კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების გაუფასურების ზარალი ანგარიშდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით მის საბალანსო ღირებულებასთან. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და ტრიალდება თუ მოხდა დადებითი ცვლილება შეფასებებში, რომლებიც გამოყენებულ იქნა ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისთვის.

(ii) არაფინანსური აქტივები

„ჯგუფის“ არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) განიხილება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეული (CGU) აღემატება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალის უწყისში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს მათ საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული ანგარიშგების თარიღში თუ არსებობს ნებისმიერი მითითება იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან მეტი აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება, თუ ადგილი აქვს ცვლილებას აღდგენადი თანხის განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება განსაზღვრ საბალანსო ღირებულებას, ცვთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, თუ ადგილი არ აქვს გაუფასურების ზარალის აღიარებას.

(I) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახდამდე არსებული განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, შესაბამის შემთხვევაში, ვალდებულების დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტირების დაბრუნება აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

რესტრუქტურზაცია

რესტრუქტურისაციის რეზერვი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს დამტკიცებული დეტალური და ფორმალური რესტრუქტურისაციის გეგმა და რესტრუქტურისაცია მოხდა ან გამოცხადდა საჯაროდ.

მომავალი საოპერაციო ხარჯები არ გაითვალისწინება.

(m) საიჯარო აქტივები

(i) იმის განსაზღვრა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

შეთანხმების მომენტში „ჯგუფი“ განსაზღვრავს შეიცავს თუ არა ასეთი შეთანხმება იჯარას. ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია სპეციფიური აქტივის გამოყენებაზე და შეთანხმება შეიცავს აქტივით სარგებლობის უფლებას.

თავდაპირველად ან შეთანხმების გადახედვის შემდეგ, ჯგუფი ყოფს გადახდებს და სხვა ანაზღაურებას, რომელიც მოთხოვნილია ამ შეთანხმებით, იჯარად და სხვა ელემენტებად, მათი რეალური ღირებულების მიხედვით. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ ფინანსური იჯარის შემთხვევაში გადახდების გაყოფა ვერ მოხდება სწორად, მაშინ აქტივი და ვალდებულება აღიარდება ღირებულებით, რომელიც უდრის ძირითადი აქტივის რეალურ ღირებულებას. შემდგომში ვალდებულება მცირდება გადახდების განხორციელების შედეგად და ვალდებულებაზე დარიცხული ფინანსური ანარიცხი აღიარდება „ჯგუფის“ თავდაპირველი სესხის პროცენტის გამოყენებით.

(n) იჯარით გაცემული აქტივები

„ჯგუფის“ მიერ იჯარით მიღებული აქტივები, რომლებიც „ჯგუფის“ შვილობილ კომპანიებზე გადასცემენ ყველა რისკს და საკუთრების უფლებას, კლასიფიცირებულია ფინანსური იჯარის სახით. თავდაპირველი აღიარებისას საიჯარო აქტივები ფასდება თანხით, რომელიც უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას და ნომინალური საიჯარო გადახდის მინიმალურ ღირებულებას შორის უმცირეს მაჩვენებელს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ აქტივი აღირიცხება ამ აქტივთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

როდესაც საიჯარო ხელშეკრულებაში „ჯგუფი“ მეიჯარეა, რომელიც არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას გადასცემს მოიჯარეს, ამგვარი გარიგება კლასიფიცირდება ფინანსური იჯარის სახით, ხოლო მოთხოვნა, რომელიც იჯარაში განხორციელებულ წმინდა ინვესტიციას უტოლდება, აღიარდება სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში. შემდგომში ფინანსური შემოსავლის აღიარება ეფუძნება სქემას, რომელიც ასახავს „ჯგუფის“ ფინანსურ იჯარაში ნეტო ინვესტიციების პერიოდულ უკუგების კოეფიციენტს.

სხვა იჯარები მოიცავს საოპერაციო იჯარებს და გაიჯარებული აქტივები არ აღიარდება „ჯგუფის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(o) ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით

საოპერაციო სეგმენტი წარმოადგენს „ჯგუფის“ კომპონენტს, რომელიც მოიცავს ბიზნეს საქმიანობას, რომლიდანაც მას შეუძლია შემოსავლის მიღება ან ხარჯების გაწევა, მათ შორის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც „ჯგუფის“ ნებისმიერი სხვა კომპონენტის ოპერაციებს უკავშირდება. ყველა საოპერაციო სეგმენტის საოპერაციო შედეგები რეგულარულად გადაიხედება გენერალური დირექტორის მიერ, სეგმენტისთვის გამოსაყოფი რესურსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების და მისი მაჩვენებლების შეფასების მიზნით, და რომლისთვისაც ხელმისაწვდომია ცალკეული ფინანსური ინფორმაცია.

სეგმენტის მაჩვენებლები, რომლებიც ანგარიშის სახით წარედგინება გენერალურ დირექტორს, მოიცავს პირდაპირ სეგმენტთან დაკავშირებულ ერთეულებს.

30. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

რამდენიმე სტანდარტი, სტანდარტების ცვლილება და ინტერპრეტაცია ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ და ისინი და არ გამოყენებულა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. „ჯგუფი“ გეგმავს ხსენებული ცვლილებების დანერგვას მათი ძალაში შესვლის შემდეგ.

(a) ფასს 16 - იჯარები

ფასს 16 განსაზღვრავს ერთჯერად საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამოწვევის გამოწვევის მოკლევადიანი იჯარებისთვის და მცირე ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარის სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

ფასს 16 ჩაანაცვლებს არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასიკ 4 (როგორ განესაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

(i) იჯარები, რომლებშიც ჯგუფი არის მოიჯარე

მნიშვნელოვანი გავლენა არ მოიხდრება ჯგუფის ფინანსური იჯარის კუთხით, რადგან ჯგუფი არ მოქმედებს მოიჯარის როლში.

(ii) იჯარები, რომლებშიც ჯგუფი არის მეიჯარე

ჯგუფი გადახედავს ქვე-იჯარების კლასიფიკაციას, სადაც ის მოქმედებს მეიჯარის როლში.

მნიშვნელოვანი გავლენა არ მოიხდრება სხვა იჯარების კუთხით, სადაც ჯგუფი მოქმედებს მეიჯარის როლში.

(iii) გადასვლა

ჯგუფი გეგმავს ფასს 16-ის დანერგვას 2019 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. შესაბამისად, ფასს 16-ის დანერგვის კუმულატიური ეფექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღიარებული იქნება, როგორც გაუნაწილებელი მოგების 2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული საწყისი ნაშთის კორექტირება, შესადარისი ინფორმაციის განახლების გარეშე.

ჯგუფი გეგმავს პრაქტიკული მეთოდების გამოყენებას იჯარის განმარტების ინტერპრეტაციისას. ეს გულისხმობს იმას, რომ ჯგუფი გამოიყენებს ფასს 16-ს ყველა ხელშეკრულების მიმართ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრამდე და იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც იჯარა ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

მენეჯმენტის შეფასების მიხედვით ფასს 16-ს არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თავდაპირველი დანერგვის პერიოდში.

(ბ) სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

შემდეგი შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ იქონიებენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასიკ 23 - გაურკვევლობა საგადასახადო მიდგომებში;
- წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით (შესწორებები ფასს 9-ში);
- გრძელვადიანი წილი მეკავშირე კომპანიებში და ერთობლივ ოპერაციებში (შესწორებები ბასს 28-ში);
- ცვლილების, დაფარვის და შეთანხმების გეგმა (შესწორებები ბასს 19-ში);
- წლიური გაუმჯობესებები 2015-2017 ციკლის ფასს-ის სტანდარტებში;
- ცვლილებები ფასს-ის სტანდარტების კონცეპტუალურ ჩარჩოებში;
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები.



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/1/062/19
კორპორაცია“
ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #21

30 სექტემბერი 2019

მმართველობის ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2019 წლის 30 სექტემბერს გამოცემულ „მმართველობის ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობის ანგარიშგება დათარიღებული 2019 წლის 30 სექტემბრით გამოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში 2019 წლის 8 ივლისს, არ ეხება მმართველობის ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2019 წლის 8 ივლისის შემდეგ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილ მოვლენათა ეფექტი, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობის ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობის ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიშგება და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიან
აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი
შპს „KPMG Georgia“



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/1/062/19
კორპორაცია“
ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #21

30 სექტემბერი 2019

მმართველობის ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2019 წლის 30 სექტემბერს გამოცემულ „მმართველობის ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობის ანგარიშგება დათარიღებული 2019 წლის 30 სექტემბრით გამოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში 2019 წლის 8 ივლისს, არ ეხება მმართველობის ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2019 წლის 8 ივლისის შემდეგ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილ მოვლენათა ეფექტი, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობის ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობის ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიშგება და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიან
აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი
შპს „KPMG Georgia“



საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GEORGIAN OIL & GAS CORPORATION

2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	3
ჯგუფის ადგილი ენერგორესურსების ბაზარზე.....	4
ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	6
ჯგუფის შემოსავლები/ხარჯები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით.....	10
ჯგუფის განვითარების გეგმები	15
საინვესტიციო საქმიანობა.....	16
ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები.....	20
ინფორმაცია კორპორაციის მიერ გაცემული დივიდენდების შესახებ.....	24
კორპორატიული მართვა. კორპორაციის მმართველობითი ორგანოები	24
კორპორაციის შიდა კონტროლის სისტემა.....	25
გარემოს დაცვა.....	26
კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა	26

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (შემდგომში „კორპორაცია“) დაარსდა 2006 წლის 21 მარტს, როგორც სახელმწიფოს 100%-იან საკუთრებაში მყოფი საწარმო, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შემდეგი სამი კომპანიის ბაზაზე: სს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, სს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია და სს თელეთის ნავთობის კომპანია.

კორპორაცია არის დივერსიფიცირებული კომპანია, ბიზნესსაქმიანობით ენერგეტიკის სხვადასხვა სეგმენტში. კორპორაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: გაზის შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა ქვეყნის ე.წ. „სოციალური“ სექტორისათვის, მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაცია-განვითარების სამუშაოების წარმოება, თბოელექტროენერგიის გენერაციის სექტორის განვითარება და ხელშეწყობა, კუთვნილ და იჯარით გაცემულ ნავთობსადენებთან დაკავშირებული საკითხები, პროდუქციის წილობრივი განაწილების (პწგ) კონტრაქტების საფუძველზე მიღებული სახელმწიფოს წილი ნავთობისა და გაზის კაპიტალიზაცია და სხვა. კორპორაციას მინიჭებული აქვს ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი. იგი სახელმწიფოს ინტერესების დამცველია ინვესტორებთან გაფორმებულ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებებში.

კორპორაციას დაფუძნებული აქვს შვილობილი კომპანიები შპს გარდაბნის თბოსადგური, შპს გარდაბნის თბოსადგური 2, GOGC Trading S.A, შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია (შემდეგში „ჯგუფი“) და აგრეთვე აქვს წილები ენერგოსექტორში მომუშავე სხვადასხვა კომპანიებში, რომელთა მეშვეობითაც ის ახორციელებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტებს და აფართოებს საქმიანობის მიმართულებებს.


აგრეთვე, კორპორაცია, ენერგოსექტორში მომუშავე სხვა კომპანიებთან და სახელმწიფოსთან კოოპერაციაში აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ენერგოპროექტების დაფინანსება-განხორციელებაში, მათ შორის აღსანიშნავია ქარის ელექტროსადგურის პროექტი, რომელიც არის საქართველოში პირველი ქარის ელექტროსადგური.

2018 წლისთვის სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის 100%-იანი წილის მფლობელი არის სს საპარტნიორო ფონდი, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მართვას ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

ჯგუფის სტრუქტურა იხილეთ ქვემოთ ცხრილში

სნგკ ჯგუფის სტრუქტურა



ჯგუფის ადგილი ენერგორესურსების ბაზარზე

ჯგუფი საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მფლობელი და გაზის ძირითადი მიმწოდებელია ბაზრის „სოციალური“ სეგმენტისათვის, წამყვან როლს ასრულებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ენერგეტიკული ბაზრის ნავთობისა და გაზის, აგრეთვე ენერგოგენერაციის სექტორებში.

ჯგუფი სარგებლობს რა ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობით, ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტრანსსასაზღვრო ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სისტემების შეუფერხებელ ფუნქციონირებას და მხარს უჭერს ახალი სატრანზიტო მარშრუტების განვითარებას კასპიისა და ცენტრალური აზიის პოტენციალის სრული ათვისებისთვის.

კორპორაცია აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო პროექტებსა და ბიზნეს ურთიერთობებში, გადამწყვეტ როლს თამაშობს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. მისი სტრატეგიული და ძირითადი ბიზნეს პარტნიორები არიან: SOCAR, BP, BOTAS, ROMGAZ, MVM, PERN,

UkrTransnafta, ArmGazprom, GAZPROM, TCC, GEOSTOCK, RAMBOLL, USAID, MCC, KfW, ADB, EBRD, SINOSURE და სხვა. კორპორაციის ფასიანი ქაღალდები (ბონდები) განთავსებულია და წარმატებით ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟაზე.



ჯგუფის ოპერირებს სამი ძირითადი მიმართულებით:

- 1) **გაზის მიწოდება.** კორპორაცია აზერბაიჯანული პარტნიორი კომპანია SOCAR-ის მეშვეობით (ძირითადი მომწოდებელი) ახორციელებს გაზის შესყიდვას და რეალიზაციას შიდა საბითუმო, სოციალური სექტორისთვის, აგრეთვე ადგილობრივად მოპოვებული გაზის გაყიდვას იგივე პარტნიორი კომპანიის დახმარებით.
- 2) **ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია.** კორპორაციის შვილობილი კომპანია შპს გარდაბნის მეშვეობით ხორციელდება ქ. გარდაბანში არსებული თბოელექტროსადგურის მეშვეობით ელექტროენერგიის წარმოება და საბითუმო რეალიზაცია საქართველოს ენერგობაზარზე მოქმედ ელექტროენერგიის დისტრიბუტორებზე ისეთებზე როგორიცაა სს თელასი, სს ენერგო-პრო ჯორჯია, სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი და სხვა.

გარდაბნის თბოელექტროსადგურის წარმატებული საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით კორპორაციამ მიიღო გადაწყვეტილება ქ.გარდაბანში მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, რომლის დასრულება იგეგმება 2019 წლის ბოლოს და მისი ექსპლუატაციაში შეყვანა, რაც გაზრდის ჯგუფის მიერ წარმოებული და რეალიზებული ელექტროენერგიის მოცულობას.

- 3) **ნავთობსადენების და გაზსადენების იჯარა.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კორპორაცია არის საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მფლობელი, რომელსაც ის გასცემს იჯარით და იღებს შემოსავალს გაზისა და ნავთობის ტრანზიტიდან. გაზსადენების ძირითადი მოიჯარე არის შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, რომელიც ახორციელებს გაზის ტრანსპორტირებას კორპორაციის საკუთრებაში არსებული გაზსადენების მეშვეობით საქართველოს ტერიტორიაზე, რისთვისაც უხდის კორპორაციას შესაბამის გადასახადს.
- 2010 წელს კორპორაციას ფინანსური იჯარის სახით სახელმწიფომ დროებით სარგებლობაში გადასცა ბაქო-სუფსის მაგისტრალური მილსადენი, რომელიც

კორპორაციამ იმავე წელს გადასცა იჯარით საერთაშორისო ნავთობკომპანია BP-ს, რომელიც ახორციელებს აღნიშნული მილსადენით ნავთობით ტრანზიტს აზერბაიჯანიდან სუფსის ნავთობტერმინალამდე. ყოველწლიურად აღნიშნული მილსადენის გავლით ხდება 28 მლნ ბარელამდე ნავთობის ტრანზიტი.

ჯგუფის სხვა მიმართულებებია ნავთობმომპოვებელი კომპანიების მიერ მოპოვებული ნავთობის სახელმწიფოს კუთვნილი წილი ნავთობის რეალიზაცია წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების ფარგლებში.

2018 წელს ჯგუფის წმინდა მოგება შემცირდა წინა წელთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეულია მილსადენების იჯარიდან მიღებული შემოსავლის შემცირებით და ლარის გაუფასურებით, რის გამოც ჯგუფის ფინანსური ხარჯები გაიზარდა 2,5-ჯერ (2017 წელს ნეტო ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 14,543 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს ნეტო ფინანსურმა ზარალმა შეადგინა 22,115 ათასი ლარი).

ჯგუფის ფინანსური შედეგები დეტალურად განხილულია ამ ანგარიშის შემდეგ ნაწილში.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის 2018 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი ცვლილების დინამიკა წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები*	2018 წელი	2017 წელი	ცვლილება %
ამონაგები	642,651	671,586	-4%
გაზის და ნავთობის ხარჯი	(367,473)	(392,649)	-6%
ცვეთა და ამორტიზაცია	(37,798)	(37,322)	1%
შრომის ანაზღაურება	(20,076)	(17,703)	13%
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(10,920)	(9,650)	13%
სხვა საოპერაციო ხარჯები	(26,302)	(16,468)	60%
სხვა შემოსავალი	2,042	8,028	-75%
საოპერაციო მოგება	182,125	205,822	-12%
ფინანსური შემოსავლები	42,391	68,432	-38%
ფინანსური ხარჯები	(64,505)	(53,889)	20%
მოგება დაბეგვრამდე	160,010	220,371	-27%
მეკავშირე კომპანიის მოგების წილი	1,335	2,100	-36%
მოგება წლის განმავლობაში	161,345	222,465	-27%
მოგების გადასახადი	-	(2,059)	-100%
წმინდა მოგება	161,345	220,406	-27%

ჯგუფის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს გაზის დისტრიბუცია, რომელიც შეადგენს მთლიანი შემოსავლის 53%-ს (2017 წელს - 56%).

2018 წელს ამონაგებმა შეადგინა 642,651 ათასი ლარი, რაც 28,935 ათასი ლარით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. კლება უმეტესწილად გამოწვეულია გაზის მიწოდებიდან მიღებული ამონაგების შემცირებით (ძირითადი მიზეზი - თბილისი ზამთარი), რომელიც შემცირდა 17,905 ათასი ლარით და შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან (შემდგომში „სგტკ“) გაფორმებული ხელშეკრულების პირობების ცვლილებით, რის შედეგადაც მოცულობაზე მიბმული გადასახადი შეიცვალა წლიური ფიქსირებული გადასახადით. შედეგად 2018 წლის ამონაგები სგტკ-სთვის გადაცემული მილსადენების იჯარიდან 2017 წელთან შედარებით შემცირდა 17,794 ათასი ლარით.

ამონაგები ელექტროენერგიის წარმოებიდან და რეალიზაციიდან 2018 წელს გაიზარდა 9,379 ათასი ლარით, რაც პროცენტულ გამოხატულებაში შეადგენს 4,7%-ს.

ჯგუფის სახელფასო ხარჯის 13%-იანი ზრდა უმეტესწილად დაკავშირებული გარდაბნის თბოსადგურის, გარდაბნის თბოსადგური 2-ის და თანამშრომლების რაოდენობის ზრდით, ახალი შვილობილი კომპანიის დაფუძნებით (შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია) და დროებითი თანამშრომლების სახელფასო ხარჯის ზრდით, რომელსაც კომპანია ქირაობს სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად.

2018 წელს წინა წელთან შედარებით ჯგუფის სხვა საოპერაციო ხარჯები გაიზარდა 10,378 ათასი ლარით, რაც ძირითადად დაკავშირებულია იურიდიული ხარჯების ზრდასთან (ფრონტერა რისორზ-თან არსებული დავა) და აქტივების ჩამოწერასთან (2018 წელს ჩამოიწერა 2,235 ათასი ლარის აქტივები).

2018 წელს სხვა შემოსავლის შემცირება დაკავშირებულია ჯგუფის მიერ 2017 წელს ჩამოწერილი ვალდებულებების ამოღებიდან, აქტივების რეალიზაციიდან და ინვენტარიზაციით აღმოჩენილი ზედმეტობის აღიარებიდან მიღებული ამონაგებისგან, რასაც ადგილი არ ჰქონია 2018 წელს.

2018 წლის განმავლობაში გაიზარდა ფინანსური ხარჯები წინა წელთან შედარებით - 10,616 ათასი ლარით, რაც დაკავშირებულია კურსის ცვალებადობასთან, რადგან ჯგუფის ნასესხები სახსრები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში და დოლარის კურსის ცვლილებამ უარყოფითი ეფექტი იქონია ჯგუფის ფინანსურ ხარჯებზე.

2018 წელს ფინანსური შემოსავლების შემცირება 26,041 ათასი ლარით გამოწვეულია ორი ძირითადი მიზეზით:

- ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ფასს 15 - ამონაგები) დანერგვის შედეგად ძირითადი მომწოდებლისგან მისაღები პირგასამტეხლო, რომელიც წინა წლებში აღიარდებოდა, როგორც „ფინანსური შემოსავალი“, ახალი სტანდარტის დანერგვის შემდეგ აღიარდება ამონაგებში. 2018 წელს პირგასამტეხლოს ოდენობამ შეადგინა 18,805 ათასი ლარი.
- 2018 წელს საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შემცირდა.

ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

მანკვნებლები*	2018 წელი	2017 წელი	ცვლილება %
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	958,401	778,419	23%
წინასწარ გადახდილი თანხები	62,681	59,535	5%
არამატერიალური აქტივები	1,121	1,136	-1%
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	67,854	62,873	8%
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,959	21,169	-10%
გაცემული სესხები	14,952	12,041	24%
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	17,182	15,480	11%
გრძელვადიანი აქტივები	1,141,150	950,653	20%
მარაგები	17,826	12,412	44%
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	2,171	-	100%
წინასწარ გადახდილი თანხები	50,301	50,791	-1%
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	127,380	147,026	-13%
შებლდული ფული	5,607	-	100%
ფული და ფულის ექვივალენტები	348,595	498,960	-30%
მიმდინარე აქტივები	551,880	709,189	-22%
სულ აქტივები	1,693,030	1,659,842	2%
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	626,595	624,916	0%
დამატებითი გადახდილი კაპიტალი	71,718	71,718	-
მფლობელების არაფულადი შენატანების	(282,181)	(282,181)	-
გაუნაწილებელი მოგება	323,390	208,583	55%
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	161,345	220,406	-27%
არაკონტროლირებადი წილი	91,560	69,063	33%
სულ კაპიტალი	992,426	912,510	9%
ვალდებულებები			
სესხები და ვალდებულებები	658,134	637,381	3%
გრძელვადიანი ვალდებულებები	658,134	637,381	3%
სესხები და ვალდებულებები	13,486	78,519	-83%
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,919	29,254	-8%
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	113	-100%
ანარიცხები	2,065	2,065	-
მიმდინარე ვალდებულებები	42,470	109,951	-61%
სულ ვალდებულებები	700,604	747,332	-6%
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1,693,030	1,659,842	2%

* ყველა თანხა მოცემულია ათასეში

ძირითადი ცვლილებები ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებში ეხება ძირითად საშუალებებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს და მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებს.

ჯგუფის ძირითადი საშუალებების ბალანსის ზრდა თითქმის 180 მილიონი ლარით დაკავშირებულია ქ.გარდაბანში მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობას, რომელიც ბუღალტერიაში ასახულია დაუმთავრებელი მშენებლობის ნაწილში.

სავაჭრო მოთხოვნების შემცირება ძირითადად დაკავშირებულია შპს „სოკარ გაზ ექსპორტი-იმპორტი“ მიმართ არსებული მოთხოვნების ბალანსის შემცირებასთან.

ფულადი სახსრების შემცირება 150 მილიონი ლარით გამოწვეულია გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობის დაფინანსებით (ჯგუფი თბოსადგურის მშენებლობას ახორციელებს საკუთარი სახსრებით) და ატარებს დროებით ხასიათს.

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებების შემცირება 83%-ით დაკავშირებულია ქართული ბანკებისგან აღებული სესხების დაფარვასთან. 2018 წლის ბოლოს ჯგუფს სასესხო ვალდებულებები გააჩნია მხოლოდ 2016 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების დაფარვასთან დაკავშირებით.

თუ შევხედავთ კორპორაციის აქტივების შემადგენლობას 2018 წელს გრძელვადიანი აქტივების ზრდა უმეტესწილად დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების ბალანსის ზრდასთან, ხოლო მოკლევადიანი აქტივების ბალანსის შემცირება ფულადი სახსრების ბალანსის შემცირებასთან, რისი მიზეზებიც განხილულ იქნა ზემოთ.

2018 და 2017 წლებში ჯგუფის EBITDA წარმოდგენილია ქვემოთ (თანხები მოცემულია ათას ლარებში).

2018 წელი	2017 წელი	
219,921	243,150	↓ 10%

ჯგუფის შემოსავლები/ხარჯები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით


ქვემოთ მოცემულია ჯგუფის შემოსავლების ძირითადი წყაროების მოცულობები და ფასები, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს თითოეულის წილი ჯამური პოზიტიური ეფექტის მიღწევაში.

- 2018 წლის განმავლობაში შემოსავალი გაზის რეალიზაციიდან 2017 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 36,710 ათასი ლარით, აქედან 29,536 ათასი ლარით სარეალიზაციო გაზის მოცულობის შემცირების გამო და 7,174 ათასი ლარით კურსის ცვლილებით გამოწვეული ფასის შემცირების გამო (2017-2018 წლებში გაზის რეალიზაციის ფასი შეადგენდა 115.5 აშშ დოლარს/1000 მ³-ზე).
- 2018 წლის განმავლობაში ფაქტიური შემოსავალი გაზის რეალიზაციიდან დაგეგმილ მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 50,509 ათასი ლარით, საიდანაც 52,773 ათასი ლარით შემცირება გამოწვეულია სარეალიზაციო გაზის მოცულობის კლებით, ხოლო 2,264 ათასი ლარით გაზრდა გამოწვეულია სარეალიზაციო ფასის ზრდით კურსის ცვლილების გამო.

გაზის რეალიზაცია	2017 A	2018 P	2018 F
გაზის მოცულობა, ათ. მ3	1,271,084	1,354,180	1,171,416
საშუალო წლიური ფასი, \$	115.50	115.50	115.50
გაზის რეალიზაცია, \$	146,810,257	156,407,838	135,298,527
საშუალო წლიური კურსი ¹	2.5657	2.5000	2.5180
გაზის რეალიზაცია, ლარი	376,670,543	391,019,595	340,681,428
მომყიდი გაზი, ლარი	2,890,047	2,340,000	2,169,020

2018 წლის გაზის ჯამური მოხმარება საპროგნოზო მონაცემებთან შედარებით 15.07%-ით ნაკლებია. ამასთან ერთად, მოხმარებული გაზის საპროგნოზო და ფაქტობრივ მოცულობებს შორის სექტორების მიხედვით შემდეგი სხვაობაა : 17.08%-ით ნაკლებია კომერციული სექტორის მოხმარების ფაქტობრივი მაჩვენებელი და 18.26%-ით ნაკლებია მოსახლეობის მიერ მოხმარებული გაზის ფაქტობრივი მოცულობა. ხოლო გენერაციის ფაქტობრივი მოცულობა ნაკლებია 4.20%-ით დაგეგმილთან შედარებით. აღნიშნული საპროცენტო მაჩვენებლები აღებულია დანაკარგების შევსების მიზნით გამოყენებული ტექნოლოგიური გაზის ჩათვლით.

¹ საშუალო წლიური კურსი აქაც და შემდგომაც მითითებულია კონკრეტულად ცხრილში მითითებულ ოპერაციასთან მიმართებით



ელექტროენერგიის წარმოება/მიწოდება

შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ კომერციული საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს გამომუშავებული ელექტროენერგიით ვაჭრობა და გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებისათვის მიღებული შემოსავლები. გარდა ამისა, სადგურის რემონტში და/ან მარქაფში ყოფნის პერიოდში იგი თვითონ არის მომხმარებელი და ელექტროენერგიას საკუთარი მოხმარებისთვის ყიდულობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის კომერციული ოპერატორისგან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია:


- საანგარიშო პერიოდში წარმოებული და რეალიზებული ელ. ენერგიის მონაცემები, აგრეთვე გენერაციისას ნამუშევარი საათები თვეების მიხედვით (მათ შორის გენერაციისას საკუთარ მოხმარებაზე და სასადგურე დანაკარგებზე აღრიცხული ხარჯები) - ცხრილი 1
- საანგარიშო პერიოდში რეალიზებული ელ.ენერგიის განაწილება შემსყიდველებისა და თვეების მიხედვით - გრაფიკი 1.

ცხრილი 1. ელექტროენერგიის მოცულობები

საანგარიშო პერიოდი	გენერაცია ათასი კვტ. სთ	ნამუშევარი საათები	სალტებზე გაცემა ათასი კვტ.სთ.	რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, ათასი ლარი	საკუთარი მოხმარება ათასი კვტ. სთ.	სასადგურე დანაკარგი ათასი კვტ. სთ.	სასადგურე დანაკარგი %
იანვარი	129,512	657	124,397	9,967	4,512	603	0.47%
თებერვალი	126,631	672	121,327	9,721	4,632	672	0.53%
მარტი	116,615	671	111,354	8,922	4,665	596	0.51%
აპრილი	25,969	163	24,718	1,980	1,121	130	0.50%
მაისი	-	-	-	-	-	-	0%
ივნისი	-	-	-	-	-	-	0%
ივლისი	3,397	20	3,238	259	135	24	0.70%
აგვისტო	147,706	710	141,822	11,363	4,997	887	0.60%
სექტემბერი	156,638	720	150,567	12,063	5,073	1,000	0.64%
ოქტომბერი	165,697	744	159,454	12,775	5,170	1,074	0.65%
ნოემბერი	165,675	720	159,592	12,786	5,022	1,060	0.64%
დეკემბერი	174,677	744	168,308	13,485	5,252	1,117	0.64%
სულ	1,212,519	5,821	1,164,777	93,322	40,580	7,162	0.59%

გრაფიკი 1

ელექტროენერგიის რეალიზაცია შემსყიდველების მიხედვით



შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება გაყიდული ელ-ენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებისათვის მიღებული შემოსავლების ჯამისგან.

ელექტროენერგიის რეალიზაციის თვითღირებულებაში შედის ბუნებრივი აირის, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების და ქიმიკატების ღირებულება.


2018 წელს ელექტროენერგიის წარმოებისთვის გარდაბნის თბოსადგურმა ჯამში მოიხმარა 236,895 ათასი კუბური მეტრი გაზი, რომლიც ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 87,773 ათასი ლარი.

გარდაბნის თბოსადგურის მიერ თვეების მიხედვით გამომუშავებული ელექტროენერგიის და გახარჯული გაზის მოცულობები მოცემულია 2-ე გრაფიკში.

გრაფიკი 2

წარმოებული ელექტროენერგია და გახარჯული გაზი

ათასი კვტ.სთ/კუბ.მეტრი



ნავთობის მიღება/რეალიზაცია პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების (პწგხ) ფარგლებში

ჯგუფი ახორციელებს პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ნედლი ნავთობის რეალიზაციას აუქციონის მეშვეობით. 2018 წლის განმავლობაში შედგა ოთხი აუქციონი, რომლის ფარგლებში კორპორაციამ მოახდინა 9,378 ტონა ნედლი ნავთობის რეალიზაცია. რეალიზაციის ჯამურმა თანხამ შეადგინა 4,543 ათასი აშშ დოლარი.

ნავთობის და გაზის ტრანზიტი

გარდა ზემოხსენებული საქმიანობებისა ჯგუფი აგრეთვე ახორციელებს ნავთობისა და გაზის ტრანზიტს მის საკუთრებაში/კონტროლს ქვეშ არსებული მილსადენებით.

ნავთობის ტრანზიტი ხორციელდება ე.წ. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მეშვეობით, რომლის ოპერატორი არის Azerbaijan International Operation Company, რომელიც არის საერთაშორისო კომპანია BP-ს მფლობელობაში არსებული კომპანია და ახორციელებს საქართველოში საქმიანობას. 2018 წლის განმავლობაში ნავთობსადენში გატარებულმა ნავთობის მოცულობამ შეადგინა 27,855 ბარელი ნავთობი, ხოლო შემოსავალმა ტრანზიტიდან - 18,367 ათასი ლარი.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფის სტაბილური და წარმატებული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფს ჰქონდეს სტრატეგიული ხედვა, რომელზეც ის იქნება ორიენტირებული გრძელვადიან პერსპექტივაში. ამისთვის საჭიროა ჯგუფის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების შესწავლა და მათი განვითარების გეგმის შემუშავება.

ჯგუფის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- იაფი ენერგორესურსების მოზიდვა და რეგიონალურ ენერგოკომპანიებთან თანამშრომლობა მოწოდების იაფი და საიმედო, მათ შორის ახალი წყაროების უზრუნველყოფის მიზნით;
- საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის არსებული და დაგეგმილი სატრანზიტო პროექტების განვითარების აქტიური მხარდაჭერა;
- სატრანზიტო პროექტებიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების ეფექტური მექანიზმების დანერგვა, ენერგო რესურსებზე საბაზრო ფასის ცვალებადობით გამოწვეული რისკების მინიმუმადე დაყვანისა და საქართველოს მოსახლეობისა და ენერგეტიკული სექტორისათვის ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომი და გარანტირებული მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით;
- საქართველოში ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სექტორის სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა სახელმწიფო ინტერესების გატარების ექსკლუზიური უფლებით;
- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება და განვითარება მათი ფუნქციონირების მაღალი ტექნიკური საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ბიზნესის დივერსიფიკაცია, მათ შორის ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროექტებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვით გზით.
- რეგიონულ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტით გათვალისწინებული სამართლებრივი ბაზისა და საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტებისა და ნორმების იმპლემენტაციის მეშვეობით.

კორპორაციის სტრატეგიული დაგეგმარების და ტექნიკური დეპარტამენტები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის, ენერგიის დამატებითი წყაროების, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებებით და ადგენენ გრძელვადიან პროექტებს, რომლის შესრულება და დანერგვა ხდება ეტაპობრივად.

ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის ჯგუფი მუდმივად მუშაობს ნავთობისა და გაზის და ელექტროენერგიის წარმოება/მიწოდების ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ეფექტურ მართვაზე და ახორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ენერგოპროექტებში საკუთარი სახსრებით.

ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებთან პროექტების დაფინანსების კუთხით.

საინვესტიციო საქმიანობა

ჯგუფი ეწევა აქტიურ საინვესტიციო საქმიანობას თავისი საქმიანობის მიმართულებების გაფართოების მიზნით და დამატებითი მოგების მიღების მიზნებისთვის. 2018 წლის ბოლოსთვის კორპორაციას აქვს 51% და 100% წილი შპს გარდაბნის თბოსადგურსა და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ში შესაბამისად. აღნიშნული შვილობილი კომპანიები დაარსდა გარდაბანში თბოელექტროსადგურების მშენებლობის და ოპერირების პროექტების განხორციელების მიზნებისთვის. 2018 წელს დაფუძნდა შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია, კორპორაციის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, რომლის მიზანია საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის განხორციელება და შემდგომში ოპერირება.

1.1. შპს გარდაბნის თბოსადგური - გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტი

შპს გარდაბანი დაარსდა 2013 წლის ოქტომბერში. ახალი შვილობილი კომპანია შეიქმნა კორპორაციის და სს საპარტნიორო ფონდის წილობრივი მონაწილეობით 51% და 49% შესაბამისად. შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100,000 აშშ დოლარით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილმა კაპიტალმა შეადგინა 175,185 ათასი ლარი (2017: 171,185 ათასი ლარი).

შვილობილი კომპანია შეიქმნა გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მოსაყვანად. სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2015 წლის ივლისში. 2015 წლის სექტემბრიდან გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა დაიწყო შემოსავლის მოტანა.

1.2 შპს გარდაბნის თბოელექტროსადგური 2 - გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის პროექტი

2016 წლის აგვისტოში დაფუძნდა შპს გარდაბნის თბოსადგური 2 - ახალი შვილობილი კომპანია, რომლის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 10,000 ათასი ლარით, რომელშიც კომპანია ფლობს 100%-იან წილს. 2018 წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ განხორციელდა დამატებითი ინვესტიციები შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის კაპიტალში და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახალი შვილობილი კომპანიის კაპიტალმა შეადგინა 350,193 ათასი ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამშენებლო სამუშაოები იმყოფება აქტიურ ფაზაში და მშენებლობის დასრულება იგეგმება 2019 წლის ბოლოს. გარდაბნის ახალი კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის დაგეგმილი სიმძლავრე 230 მვტ-ს შეადგენს.

1.3 შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია - მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტი,

2018 წლის ოქტომბერში ჯგუფმა, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, დააფუძნა შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია, რომელიც განახორციელებს სამგორის სამხრეთი თაღის საბადოს ბაზაზე საერთაშორისო სტანდარტების მქონე მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტს.

პროექტის განხორციელებისთვის ჯგუფმა მოიზიდა ფინანსური სახსრების ნაწილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან (KfW Development Bank) და ახორციელებს აქტიურ მოლაპარაკებებს დარჩენილი ნაწილის დაფინანსების მიღების მიზნით.

2018 წლის ბოლოს შპს საქართველო გაზსაცავის კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,880 ათასი ლარი.

1.4 „სარმატია“ - ნავთობის ევრო-აზიური სატრანსპორტო კორიდორის (EAOTC) პროექტის განმახორციელებელი საერთაშორისო კომპანია

2007 წლის ოქტომბერში ქ. ვილნიუსში გამართულ ენერგეტიკულ სამიტზე პოლონეთის, ლიტვის, უკრაინის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათა მეთაურების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დაფუძნდა მილსადენების საერთაშორისო კომპანია შპს „სარმატია“. კომპანიის ძირითადი მიზანია ევრო-აზიური ნავთობსატრანსპორტო დერეფნის პროექტის (EAOTC) რეალიზაცია, რაც საშუალებას იძლევა:

- ჩამოყალიბდეს კასპიის საბადოებიდან ევროპაში 10-დან 30 მლნ ტონამდე წელიწადში ნავთობის მიწოდების ახალი, ალტერნატიული მარშრუტი, რომელიც გვერდს აუვლის თურქეთის სრუტეებისა და რუსეთის ტერიტორიის გავლით ტრანზიტს;
- მნიშვნელოვნად აამაღლებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკულ უსაფრთხოებას;
- ხელს შეუწყობს ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განმტკიცებას ევროგაერთიანებასა და პროექტის მონაწილე პარტნიორ ქვეყნებს შორის.

დამფუძნებელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით შპს „სარმატია“-ს დავალებული აქვს ევრო-აზიის ნავთობის სატრანზიტო კორიდორის (EAOTC) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (Feasibility Study) მომზადება, რის საფუძველზე უნდა მიღებულ იქნეს პროექტის იმპლემენტაციის საინვესტიციო გადაწყვეტილება.

2015 წლის დასაწყისისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური მდგომარეობის ჩამოყალიბების კუთხით, რუსეთის მიერ აღმოსავლეთ უკრაინის და ყირიმის ოკუპაციის, აგრეთვე პოლონეთისა და უკრაინის მთავრობებში ცვლილებების შემდეგ. გართულებები წარმოიშვა რეგიონის (პოლონეთის, გერმანიის, უკრაინის, ლიტვის) ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით მომარაგებაში

რუსეთიდან. შესაბამისად, აუცილებელი გახდა ტედ-ის ახალი ვარიანტის მომზადება, რომელიც გაითვალისწინებდა ბაზრის ახლადჩამოყალიბებულ კონიუქტურას, აგრეთვე იმ დროისათვის არსებულ პოლიტიკურ რეალობას რეგიონში.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ საპროექტო ნავთობსადენი დღემდე ინარჩუნებს ევროკავშირისა და ენერგეტიკული თანამეგობრობის ერთობლივი ინტერესების მქონე პროექტის (PCI და PEI) სტატუსს, მნიშვნელოვანი პოლიტიკური (და არა მხოლოდ) მხარდაჭერის პერსპექტივით.

1.5 AGRI LNG Project Company S.R.L - აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის განმახორციელებელი საერთაშორისო კომპანია

აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტი (AGRI) ითვალისწინებს აზერბაიჯანული (ან თურქმენული) გაზის ტრანსპორტირებას მილსადენებით ფოთის პორტამდე, გამათხევადებელი საწარმოსა და ტერმინალის მშენებლობას ფოთში და გათხევადებული გაზის ტრანსპორტირებას ტანკერებით რუმინეთის პორტ მიდიამდე. რუმინეთში გაზის რეგაზიფიკაციის შემდეგ სათბობი მილსადენებით მიეწოდება რუმინეთისა და უნგრეთის, აგრეთვე ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს. პროექტი უზრუნველყოფს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გაზის ბაზრის დამოკიდებულების შერბილებას დომინანტი მიმწოდებლისაგან როგორც მიწოდების წყაროს, ისე მარშრუტის დივერსიფიკაციის საშუალებით. 2017 წლის 1 იანვრისათვის, პროექტის განმახორციელებელი ერთობლივი AGRI LNG Project Company S.R.L. საწესდებო კაპიტალი განაწილებულია დამფუძნებლებს შორის შემდეგი პროპორციით: ROMGAZ (რუმინეთი) - 25% MVM (უნგრეთი) – 25%, SOCAR (აზერბაიჯანი) – 25%, კორპორაცია - 25 %.

2014 წლის 4 დეკემბერს ქ. ბუქარესტში გაიმართა კომპანია – AGRI LNG Project Company S.R.L.-ის საბჭოს სხდომა, რომელზეც გარკვეული შენიშვნებით მხარდაჭერილი იქნა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების მიზნით დაქირავებული კონსულტანტის Pespens Ltd-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი. ამასთან ერთად, განხილული იქნა პროექტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემეტიკა. დირექტორთა საბჭომ მხარი დაუჭირა წინადადებას, პროექტის განმახორციელებლად AGRI LNG Project Company S.R.L. დამტკიცების შესახებ.

გემოსხენებლ საკითხებთან დაკავშირებით ჩასატარებელი სამუშაოს გათვალისწინებით, AGRI LNG Project Company S.R.L.-ის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული კომპანიის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტის შემდგომ ბედთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში გასაწევი ხარჯების მაქსიმალური ეკონომია. აღნიშნული ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოყენებული იყო შენატანი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში. AGRI LNG Project Company S.R.L.-ის 2015 წლის ბიუჯეტისა და დირექტორთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიხედვით. რომლის თანახმად თითოეული პარტნიორის (მათ შორის კორპორაციის) შესატანი წილი განისაზღვრა 20 ათასი ევროთი (2015 წლის 20 მაისის კურსის 2.6204 შესაბამისად 52,408 ლარი). 2018 წელს AGRI პროექტის განსახორციელებლად დამატებითი ხარჯები არ გაწეულა.

მომავალში გათვალისწინებულია აქციონერთა გადაწყვეტილების მიღება პროექტის განვითარების შემდგომი ეტაპების შესახებ. კერძოდ, შესაბამისი დაფინანსების, გაზის გარანტირებული მოწოდების წყაროსა და მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში შეიძლება

განხორციელდეს არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განახლება, წინა საინჟინრო დაპროექტების (FEED) მომზდება, ნებართვების მიღება და სამშენებლო სამუშაოების დაწყება (სავარაუდოდ არაუადრეს 2022-2025 წლებისა).

1.6 TCP-White Stream Project Company - ტრანსკასპიური მილსადენი - „თეთრი ნაკადის“ პროექტების განმახორციელებელი კომპანია

კორპორაცია ტრანსკასპიური მილსადენი - „თეთრი ნაკადის“ პროექტების განმახორციელებელი კომპანიების 10%-იანი წილის მფლობელია. აღნიშნული პროექტების დანიშნულებაა უზრუნველყოს თურქმენული გაზის მიწოდება ევროპულ ბაზარზე კასპიის ზღვის ოფშორული, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების გადამკვეთი და შავი ზღვის ოფშორული მილსადენების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ტრანსკასპიური მილსადენის პროექტი შესულია ევროკავშირის ერთობლივი ინტერესების პროექტის (PCI) სტატუსის მქონე პროექტების ჩამონათვალში.

კორპორაცია უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტის მრავალმხრივ (საექსპერტო, ფინანსური) მხარდაჭერას და რეალიზაციის ხელშეწყობას როგორც შიდასახელმწიფოებრივ ისე საერთაშორისო დონეზე. 2018 წელს აღნიშნულ საქმიანობაზე დახარჯულია 142 968 ლარი.

1.7 შპს ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური - ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურის პროექტი

2018 წლის 6 ივნისის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობის წერილის თანახმად, ენგურჰესის თაღოვან კაშხალთან მძლავრი ჰიდრომააკუმულირებელი სადგურის (ჰმეს-ი) ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის და შემდგომში მშენებლობის პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად, კორპორაციას დაევალა შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნება, რომლის წილთა 40%-40% იქნება კორპორაციის და შპს „ენგურჰესის“ საკუთრება, ხოლო 20% - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ საკუთრება. საზოგადოების კაპიტალი საწყის ეტაპზე განისაზღვრა 1,500,000 აშშ დოლარით, საიდანაც კორპორაციის შენატანი შეადგენს 600,000 აშშ დოლარს. 2018 წლის 30 ივლისს კორპორაციის მიერ განხორციელდა 367,350 ლარის (150,000 აშშ დოლარის ექვივალენტის) გადახდა.

ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები



კორპორაციაში რისკების მართვა ხორციელდება რისკების მართვის სისტემის საფუძველზე, რომელიც გაწერილია კორპორაციის შიდა პოლიტიკაში. კორპორაციის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები არის შემდეგი:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს კორპორაციის ხარჯებს. კომპანიაში ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სემეკ-თან ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელსაც შეიძლება კორპორაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონოდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში კორპორაცია ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანიაზე ზეგავლენა აქვს შემდეგ რისკებს:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო მთლიანად პასუხისმგებელია კორპორაციის რისკების მართვის სტრუქტურის შექმნასა და ზედამხედველობაზე.

კორპორაციის რისკის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია რისკების გამოვლენისთვის და ანალიზისთვის, რომლის წინაშეც დგას კომპანია, რისკის სათანადო ლიმიტების და კონტროლების ჩამოყალიბებისთვის, ამ რისკების მონიტორინგისა და ლიმიტების დასაცავად. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება იმისათვის, რომ მოხდეს საბაზრო პირობებში ცვლილებების ასახვა კომპანიას საქმიანობაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კორპორაციის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც მიიღება თუ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ძირითადად წარმოიშვება კომპანიის დებიტორული დავალიანებებიდან, გაცემული სესხებიდან, ვადიანი დეპოზიტებიდან და ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე და გადახდილ ავანსებზე საკრედიტო რისკის ზემოქმედება ყველაზე მაღალია. საკრედიტო რისკის ზემოქმედება აქტივებსა და ვალდებულებებზე საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი :

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2018	2017
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები *	146,339	168,195
გაცემული სესხები	14,952	12,041
ფული და ფულის ექვივალენტები	354,202	498,960
	515,493	679,196

(i) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კორპორაცია შეეჭიდება სირთულეებს ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ დავალიანებებთან, რომლებიც თავისმხრივ იწარმოებენ ნაღდი ფულით ან სხვა ფინანსური აქტივების გადაცემით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვისადმი უზრუნველყოფს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საკმარისი ლიკვიდური აქტივების არსებობა მისი ვალდებულებების შესასრულებლად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე რთულ პირობებში, კორპორაციისთვის მიუღებელი დანაკარგების წარმოშობისა და რეპუტაციისთვის ზარალის მიყენების გარეშე. კორპორაციის ლიკვიდურობის მართვა ასევე მოიცავს ობლიგაციების ხელშეკრულების დამატებითი პირობების მონიტორინგს.

ჩვეულებრივ, კორპორაცია უზრუნველყოფს საკმარისი ფულადი სახსრების არსებობას 60 დღის განმავლობაში მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად, ფინანსური ვალდებულებების შესრულების ჩათვლით; აქ არ გაითვალისწინება იმ გარემოებების პოტენციური ზემოქმედება, რომლებიც არ შეიძლება იყოს წინასწარ განსაზღვრული, ისეთი როგორც ბუნებრივი კატასტროფები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორიცაა უცხოური ვალუტის კურსი, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, გავლენას მოახდენს კორპორაციის შემოსავალზე ან მის საკუთრებაში არსებულ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია ბაზარზე არსებული რისკის კორპორაციაზე ზემოქმედების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზაციასთან ერთად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკები ზემოქმედებას ახდენს კორპორაციის, ფუნქციური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებულ გაყიდვებზე, შესყიდვებზე და სესხებზე. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ტრანზაქციები არის აშშ დოლარი. ზოგადად, კორპორაციას სესხები დენომინირებული არის იმ ვალუტაში, რომელიც ემთხვევა კორპორაციის ძირითადი ოპერაციების შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს. ეს უზრუნველყოფს ეკონომიკურ ჰეჯირებას დერივატივების კონტრაქტებში მონაწილეობის აუცილებლობის გარეშე.

უცხოური ვალუტის რისკის ზეგავლენა ჯგუფზე იყო შემდეგი:

სავალუტო რისკის ზემოქმედება

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2018 წელს	აშშ დოლარში დენომინირებული 2017 წელს
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	1,949	6,793
გაცემული სესხები	14,952	12,041
ფული და ფულის ექვივალენტები	64,042	6,793
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(10,876)	(6,640)
სესხები და ვალდებულებები	(671,620)	(715,900)
წმინდა ზემოქმედება	(601,553)	(614,945)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებზე ძირითადად გავლენას ახდენს სესხებსა და ვალდებულებებზე, მათი საბაზრო ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის დავალიანების) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლად-განაკვეთიანი დავალიანება) ცვლილების სახით. მენეჯმენტს არ აქვს განსაზღვრული ფორმალური პოლიტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იქნება ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთების ზეგავლენა კორპორაციაზე. თუმცა, ახალი სესხების ან ვალდებულებების აღებისას, მენეჯმენტი იყენებს თავის მსჯელობას, იმისათვის, რომ გადაწყვიტოს რომელი განაკვეთი - ფიქსირებული თუ ცვლადი იქნება უფრო ხელსაყრელი კომპანიისთვის პერიოდის განმავლობაში ვალდებულებების დაფარვამდე.

კორპორაცია არ აღრიცხავს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მატარებელ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში აღიარების მეშვეობით ან როგორც გაყიდვისთვის მზას. შესაბამისად, საანგარიშო თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას არ იქონიებს არც მოგება-ზარალზე და არც კაპიტალზე.

ინფორმაცია კორპორაციის მიერ გაცემული დივიდენდების შესახებ

2017 წლის 4 ივლისს კორპორაციამ სს „საპარტნორო ფონდის“ სასარგებლოდ 2016 წლის კონსოლიდირებული მოგებიდან განაწილებული დივიდენდის სახით სრულად გადაიხადა 27,312,950 ლარი.

2018 წლის 18 ივლისს კორპორაციამ სს „საპარტნორო ფონდის“ სასარგებლოდ 2017 წლის კონსოლიდირებული მოგებიდან განაწილებული დივიდენდის სახით სრულად გადაიხადა 77,142,100 ლარი.

კორპორატიული მართვა. კორპორაციის მმართველობითი ორგანოები

ეფექტური კორპორატიული მმართველობა წარმოადგენს წარმატებული ბიზნესის საფუძველს. კორპორაციის კორპორატიული მმართველობის სისტემა მიმართულია ინვესტორებთან, აქციონერებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან სანდო და საიმედო ურთიერთობების შენარჩუნებაზე და მის განვითარებაზე, რაც ზრდის კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობას.

აქციონერი ნიშნავს და ამტკიცებს კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას, რომელიც ანგარიშვალდებულია სს „საპარტნორო ფონდის“ წინაშე წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. სამეთვალყურეო საბჭო, თავის მხრივ, სს „საპარტნორო ფონდის“ /სამინისტროს წარდგენით ნიშნავს კორპორაციის დირექტორთა საბჭოს წევრებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას. სამეთვალყურეო საბჭო აგრეთვე მონაწილეობს კორპორაციის ბიზნეს გეგმის განხილვა-დამტკიცებასა და ფინანსური ვალდებულებების მიზანშეწონილობაში (თუ მათი რაოდენობა წლის განმავლობაში ერთ მილიონ ლარს აღემატება), განიხილავს კორპორაციის საქმიანობის ანგარიშს.

კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შეჯამებისას, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 10 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა შემდეგი ძირითადი საკითხები:

- 1) კორპორაციის ბიზნეს-გეგმის განხილვა/კორექტირება;
- 2) კორპორაციის მიერ ბანკებიდან დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიება;
- 3) აქციონერისთვის სესხის და დივიდენდების გაცემა;
- 4) აუდიტორული ფირმის არჩევა კორპორაციის გარე აუდიტის ჩატარებისთვის.

კორპორაციის შიდა კონტროლის სისტემა

კონტროლის დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს კორპორაციის დებულებით განსაზღვრულ კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ დეპარტამენტი:

- აქტიურად არის ჩართული კორპორაციის წლიური ბიზნეს-გეგმის განხორციელების პროცესში, წლიური და პერსპექტიული სამუშაო გეგმის საფუძველზე მიღებული დავალებების შესასრულებლად;
- აკონტროლებს კორპორაციის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, გასნაზღვრავს აქტუალურ საკითხებს, მოსალოდნელ რისკებს, შემუშავებს რეკომენდაციებს, პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად;
- აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს კორპორაციის თანამშრომელთა მხრიდან შინაგანაწესის დაცვაზე.
- საკითხთა შესწავლისას გამოვლენილი ხარვეზების, ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რეკომენდაციებს წარუდგენს კორპორაციის დირექტორთა საბჭოს.

გაწეული მუშაობის შედეგად უზრუნველყოფილია კორპორაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წარმართვა გეგმაზომიერად, შემუშავებული პროცედურების, წესის, რეგლამენტის მიხედვით, მინიმუმამდეა შემცირებული გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობები, ადამიანური და მატერიალური ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური, ფინანსური და შრომითი რესურსების დანაკარგები.

მიმდინარეობს კორპორაციის მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის მშენებლობის სამსახურის 2016 წლის საქმიანობის აუდიტი. მშენებლობის სამსახურის გამოცდილებისა და პრაქტიკის სიმწირის გათვალისწინებით საკითხის შესწავლის პროცესში მიმდინარეობს მიღებულ სტანდარტებთან გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა და დადებითი ტენდენციების გამოყოფა.

შესწავლის პროცესშია განსახლებისა და ნებართვების უზრუნველყოფის დეპარტამენტის გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის 2016 წელს გაწეული საქმიანობის აუდიტი.

სამსახური მუდმივ კონტროლს ახორციელებს კორპორაციის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და მათი ეფექტური მართვის პროცესზე, ასს საქმიანობის წესის შესაბამისად, რომელიც კორპორაციის დირექტორთა საბჭომ მიიღო კონტროლის დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე.

კორპორაციის „შინაგანაწესის“ და თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებით დათქმულ უფლება მოვალეობათა შესრულების კონტროლის მიზნით, დეპარტამენტი ელექტრონული სისტემის „ტურნიკეტის“ მეშვეობით ყოველდღიურ კონტროლს ახორციელებს შრომის რეჟიმის დაცვის მდგომარეობაზე. მონიტორინგის შედეგები ყოველი თვის 10 რიცხვამდე წარედგინება გენერალურ დირექტორს. „შინაგანაწესის“ მე-6 მუხლის საფუძველზე, გენერალური დირექტორის ბრძანებით გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლები წლის განმავლობაში განსახლებისა და ნებართვების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შექმნილი სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მონაწილეობდნენ კორპორაციის წლიური გეგმით განსაზღვრული მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობის პროექტების განსახორციელებლად წინასწარი სამუშაოების შესრულების პროცესში.

ასევე მუდმივ კონტროლზეა, 2016 წლის კონტროლის დეპარტამენტის ანგარიშით განსაზღვრული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულება.

დეპარტამენტი თავის საქმიანობას ასრულებს კორპორაციის დეპარტამენტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში. ასე მაგალითად, შესწავლილ იქნა კორპორატიული მართვის დეპარტამენტის საქმის წარმოების სამსახურის საქმიანობა, აუდიტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით კორპორატიული მართვის დეპარტამენტმა დირექტორთა საბჭოზე დაამტკიცა საქმის წარმოების ინსტრუქცია.

გარემოს დაცვა

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერება, გაკონტროლება და მათზე ადეკვატური რეაგირება ჯგუფის გარემოსდაცვითი სტრატეგიის ნაწილია.

მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოზე ზედამხედველობის ჯგუფი უზრუნველყოფს კორპორაციის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების რისკის დონის განსაზღვრასა და შეფასებას, ამ რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ადეკვატური ზომების მიღებას. ასევე, მილსადენების, ჭაბურღილების, სხვა ტექნიკური ობიექტების და ახალი სისტემების პროექტირების, მშენებლობის და შემდგომი ექსპლუატაციის ფაზების გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და კომპეტენციის ფარგლებში, გარემოზე ზემოქმედების შესწავლა-შეფასებას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ზოგადად გარემოს დაცვის საკითხების შესახებ დოკუმენტაციის წარმოებას.

2018 წლის განმავლობაში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე გამოქვეყნებული გარემოსდაცვითი ანგარიშები დეტალურად აღწერს ჯგუფის ზეგავლენას გარემოზე და მიუთითებს რამდენად დიდ ყურადღებას აქცევს ჯგუფი გარემოსდაცვით საკითხებს თითოეული პროექტის განხორციელებისას.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

ჯგუფის ხედვებიდან, ფასეულობებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალურ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებზე და გარემოზე ზრუნვა, ქველმოქმედება და სხვა სოციალურად საჭირო აქტივობები არის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც კონცენტრირებულია ჯგუფი სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.

თანამშრომლები - კორპორაციის უმთავრესი აქტივი, რომელზეც ჯგუფი აქტიურად ზრუნავს სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნით, პროფესიული ზრდის პერსპექტივების შექმნით და სხვადასხვა ფულადი/არაფულადი ბენეფიტების შეთავაზებით.

ჯგუფში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა აღემატება 800 ადამიანს, რომელთაგან 600 ადამიანზე მეტი არის მუდმივად მომუშავე თანამშრომელი. ჯგუფს ჰყავს დაქირავებული დროებითი თანამშრომლები, გარკვეული სამუშაოების შესრულებისთვის.

ჯგუფი აქტიურ მონაწილეობას იღებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაში და აფინანსებს პროფესიულ ტრენინგებს და გადამზადებას, იმისათვის, რომ ჰყავდეს პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრები.

ქველმოქმედება - ჯგუფი აქტიურად ჩართულია სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარებას და მათი პირობების გაუმჯობესებას, იმ პირების დახმარებას, რომლებსაც ესაჭიროებათ მკურნალობა/რეაბილიტაცია. ჯგუფი აგრეთვე თანამშრომლობს სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და კორპორაციის შიგნით ახორციელებს ინფორმაციის გაცვლას, რათა თანამშრომლებიც იყვნენ ინფორმირებულები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ დახმარების პროექტებში/პროგრამებში.

წინამდებარე კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია:

გივი ბახტაძე
გენერალური დირექტორი

ომარ ოგბაიძე
ფინანსური დირექტორი

ჯგუფი აქტიურ მონაწილეობას იღებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაში და აფინანსებს პროფესიულ ტრენინგებს და გადამზადებას, იმისათვის, რომ ჰყავდეს პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრები.

ქველმოქმედება - ჯგუფი აქტიურად ჩართულია სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარებას და მათი პირობების გაუმჯობესებას, იმ პირების დახმარებას, რომლებსაც ესაჭიროებათ მკურნალობა/რეაბილიტაცია. ჯგუფი აგრეთვე თანამშრომლობს სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და კორპორაციის შიგნით ახორციელებს ინფორმაციის გაცვლას, რათა თანამშრომლებიც იყვნენ ინფორმირებულები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ დახმარების პროექტებში/პროგრამებში.

წინამდებარე კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია:

გივი ბახტაძე
გენერალური დირექტორი

ლმარ ზგზაიძე
ფინანსური დირექტორი